თებერვალი
1936 წ.
№ 122

საქართველოს დამოუკიდებელი ხმა

La Géorgie Indépendante
Revue mensuelle
FEVRIER
1936—№ 122

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

შინაარსი:

მეთაური—რუსეთ-საფრანგეთის პაქტი.
როსტომი—გლოვის დღე.
ილ. ნუცუბიძე—მონობის სამეფოში.
X. X.—განახლებული ირანი.
იაპონია და ჩინეთი.
ქართველთა დღესას. შორეულ აღმოსავლეთში.
ნაური—წერილი ამერიკიდან.
საქართველოს საკითხი.
ქართველ მანდილოსანთა კეთილი საქმე.
ს. ასათიანი—საყურადღებოდ.
X.—ქართველ მწერ. და ჟურნ. ასოციაც. კრება.
პრესა. და სხვ.

რუსეთ-საფრანგეთის პაქტი

ერთმა იუმორისტულმა კვირეულმა დასწერა: პაქტის მომხრენი და მოწინააღმდეგენი თუ დაობენ, ერთში მაინც თანახმანი არიან—ეს იმაში, რომ არც ერთს არ გაეგება ის! საფრანგეთის პალატამ არაჩვეულებრივ დიდი დრო მოანდომა მას; არავინ იცის, რამდენს მოანდომებს სენატი, პრესა ხომ არ ეშვება მას, და დასკვნა კი ისე ბუნდოვანია, რომ თვითონაც არ იციან, სამშვიდობო თუ საომარ საქმეს აკეთებენ!

რატიფიკაცია, ყოველ შემთხვევაში, წინასწარ გადაწყვეტილია; სხვათა შორის, ამისთვის დასცეს ლავალის კაბინეტი და მისმა მემკვიდრემ, საროს კაბინეტმა, არ დააყოვნა პაქტის წეს-რიგში დასმა. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ პაქტის მომხრენი სწორეთ ლავალის მიერ ზედ დართულ ოქმს ებღაუჭებიან, რათა რატიფიკაცია ძალიან უმანკო ფორმალობად დასახონ.

მართლაც, ლავალის ოქმი, რომელსაც იგივე ძალა აქვს, რაც თვითონ პაქტს, არსებით შეზღუდვებს შეიცავს. მოსკოვს სურდა, მაგალითად, რომ საფრანგეთი მიშველებოდა ავტომატიურათ, როგორც კი მესამე სახელმწიფო დაესხმოდა მას თავზე. ოქმი კი მოითხოვს ჯერ ერთა ლიგის საბჭოს მსჯავრს იმაზე, თუ რამდენათ უმიზეზო იყო თავდასხმა და ამის-და მიხედვით შესაფერ ზომების მიღებას. იმ შემთხვევაში, თუ საბჭომ ვერ დასდო ერთსულოვანი მსჯავრი, მხოლოდ მაშინ შეუძლიათ პარიზს და მოსკოვს თვითონ გადასწყვიტონ ეს კითხვა და დაეხმარონ ერთმანეთს. ამ შეზღუდვით საფრანგეთი ცდილობდა, რომ ლოკარნოს პაქტი დარღვეულად არ გამოეცხადებინათ მის თავდებთ: ინგლისს და იტალიას. ამის გარდა, ოქმი არ ავრცელებს პაქტის ძალას აზიაზე, ე. ი. საფრანგეთი არ კისრულობს დახმარებას, თუ საბჭოთა კავშირს ომი მოუხდა იქ. დახმარება, იმავე ოქმის თანახმათ, ევროპაშიც მაშინაა სავალდებულო, თუ მტერმა ფაქტიურათ გადალახა ერთი მათგანის საზღვრები.

ამრიგათ, თითქო დიდი სიფრთხილეა გამოჩენილი, პაქტის მიზანია თავდაცვა და არა თავდასხმაო—გაიძახიან მისი მომხრენი—და დასძენენ, გერმანიისათვის კარები ღიათ არის დატოვებული, როცა მოისურვებს, შეუძლია შემოგვიერთდესო. გერმანიას არ აკმაყოფილებს ეს განცხადება, პირიქით, ის მიუგებს—თქვენ ლოკარნოს პაქტს არღვევთო.

ჩვენ ვერ შევალთ ამ დავის განხილვაში, მაგრამ ერთი მაინც თითქო ცხადია—ეს ის, რომ რუსეთ-საფრანგეთის პაქტი ევროპის საგარეო პოლიტიკის ძირითად შეცვლას მოასწავებს. დიდი ომის შემდეგ ევროპა ავათ თუ კარგათ ცდილობდა ახალი ხაზის აღებას, პუანკარე-კუნოს ხანა ბრიან-შტრეზემანის ხანამ შესცვალა, ამას მოჰყვა ლოკარნოს პაქტი, გერმანიის ერთა ლიგაში შესვლა, რეპარაციის დღიურ წეს რიგიდან ამოგდება, ევროპის ფედერაციის გეგმა, განიარაღების კონფერენცია... როგორი მწარე ირონიად გვეჩვენება დღეს ყველა ამაების უბრალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოთვლა! მერე არ იკირხავთ, ვინ იყო ამ ახალი ხაზის გამტარებელი, ვინ იჩემებდა ბრიანს თავის გმირად? სწორედ ისინი, ვინც დღეს მის პოლიტიკას მარხავენ, ეგრედ წოდებულ ხალხოსნურ ფრონტში შემავალი პარტიები!

ასეთ ბრწყინვალე ეფექტს ალბათ თვით მოსკოვიც არ მოელოდა. მან მისცა სწორეთ საფრანგეთის მემარცხენეთ ეს იდეა, ჯერ კომუნისტები და სოციალისტები შერიგდენ, შემდეგ მათ ჩაითრიეს რადიკალები ხალხოსნურ ფრონტში, და ყველანი ერთათ მიზნად ისახავენ არა იმდენათ ქვეყნის დაცვას, რამდენათ ფაშიზმთან ბრძოლას, რომელიც არსებობს არა საფრანგეთში, არამედ მის გადაღმა! კომუნისტები და ბოლშევიზანი სოციალისტები უფრო შორსაც მიდიან: მათ სურთ «ერთად ერთი სოციალისტური ქვეყანა» დაიცვან, უამისოთ რეაქცია გაბატონდება ქვეყნიერებაზეო, საბჭოთა ბატონობა კი წმინდა წყლის რევოლუცია ყოფილა!

იურისტებს კიდევ შეუძლიათ, რა თქმა უნდა, ბევრი იჩხირკედელაონ პაქტის უვნებლობაზე, ოქმის რეზერვებზე, როგორც ამას სჩადიოდა მომხსენებელი ტორესი პალატაში, მაგრამ კითხვას სწყვეტს არა იურისპრუდენცია, არამედ მთავრობა და, თუ აპრილ-მაისის არჩევნებში ხალხოსნურმა ფრონტმა გაიმარჯვა, რაც თითქო გარდაუვალია, მაშინ ცხადია, როგორ მოიხმარს მისი მთავრობა მოსკოვთან დადებულ პირობას. ფრონტის ზოგიერთმა წევრმა კიდეც იგრძნო, რამდენათ საბედისწერო იყო მათი ნაბიჯი, მაგრამ საარჩევნო კამპანიის მოახლოვებამ და მანდატის დაკარგვის შიშმა ვერ შეაჩერა ისინი მის გადადგმისგან.

ამრიგათ, დიდი ომის ადრინდელი ვითარება თითქო ახლად იჩეკება: ორ ბანაკად ირაზმება ევროპა. ჯერ არა სჩანს ნათლად, ვინ შედის ერთში ან მეორეში, მაგრამ ზოგიერთნი უკვე ვიცით. საფრანგეთი და რუსეთი უკვე ერთ ბანაკში არიან და ორივეს იმედი აქვთ, რომ ინგლისიც მათ შეუერთდება. ასეთი დასკვნა გამოჰყავთ ლიტვინოვის «მხურვალე» მიღებიდან ლონდონში: მას მთელი საათი ებაასა მეფე ედუარდ მერვე, საგარეო მინისტრმა იდენმა კი ჩინებულათ გადაუხადა მოსკოვში გამასპინძლება. «მარშალ» ტუხაჩევსკის შეხვედრა სამხედრო პირებთან კიდევ სხვა იყო. ამბობენ, ინგლისს აფიქრებს გერმანიის გაძლიერებული შეიარაღება და იაპონიის ექსპანსიაო...

მეორე ბანაკში ჯერ მარტო გერმანიაა, მაგრამ, მიუხედავათ დემანტებისა, დაყინებით იმეორებენ იაპონიას სამხედრო კავშირი აქვს მასთანო, და შორეულ აღმოსავლეთში ხომ ისევ იწყება საომარი ციებ-ცხელება. ბევრს სწერენ იმაზედაც, რომ იტალია ისევ უახლოვდება გერმანიასო, განსაკუთრებულ დესპანების მიმოსვლა მართლა ძალიან გახშირდა მათ შორის.

ჩვენ დავასახელეთ ექვსი დიდი სახელმწიფო, მეშვიდე—შეერთებული შტატები—ხელს იბანს ჩვეულებრივ, სანამ, შეიძლება, ისევ არ ჩარევას force majeure; დაგვრჩა მერვე—პოლონეთი, რომელიც სულაც არ არსებობდა 1914 წელს და დღეს კი პირველხარისხოვან როლს თამაშობს ევროპის ყველაზე ნევრალგიულ მიჯნაზედ.

პოლონეთს სამხედრო კავშირი აქვს საფრანგეთთან და ჩვენ არაერთხელ გვითქვამს ამავე ადგილზე, რომ ის გადამწყვეტ როლს ითამაშებს საფრანგეთის დაახლოებაში გერმანიასთანთქო. იმედი არ გაგვიმართლდა, ამის მოწმეა რუსეთ-საფრანგეთის პაქტი! საფრანგეთის პალატაში ხშირად ამშვიდებდენ პოლონეთს, მისთვისაც კარი ღიაოო; თუმცა თვითონაც არ სჯეროდათ, რომ ის შეადგამს იქ ფეხს. პოლონეთი მეგობრულ განწყობილებაშია გერმანიასთან და მას არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს უკანასკნელის ალყის შემორტყმაში, მოსკოვის პაქტი სწორეთ ამ მიზანს ისახავს და ფრანგი კომუნისტები და სოციალისტები, ამის გარდა, მწყრალათ არიან პილსუდსკის პოლონეთთან.

რისთვის შეეკრა პოლონეთი გერმანიას მეგობრობის და თავდაუსხმელობის პირობით? იმისთვის, რომ ლოკარნო ისე არ აზღვევდა მის საზღვრებს, როგორც საფრანგეთისას. მაგრამ უფრო ადრე ის შეეკრა საბჭოთა კავშირსაც, როგორც თვითონ საფრანგეთი. რად დასჭირდა უკანასკნელს ძველი ალიანსის აღდგენა? განა მისი საზღვრების დასაცავათ საკმარისი არ იყო ლოკარნო და ზედ დართვით სამხედრო კავშირი პოლონეთთან? საფრანგეთს სამხედრო კავშირი აქვს მცირე ანტანტასთან და აი, ვინ მოახვია მას თავზე რუსეთთან დაკავშირება! ასეა, ვერსალის ზავი ჯერ კიდევ სწამლავს ჰაერს, არავის უნდა დასთმოს ცოტა რამ იქიდან, რაც მას მიათვისა გამარჯვებამ, მზათ არიან ომომნ, თუ გინდ უფრო დიდიც დაჰკარგონ. მასარიკის ბენეშით შეცვლა კიდევ უფრო აძლიერებს პაქტომანიას, რადგან სწორეთ ჩეხოსლოვაკიის დღევანდელი პრეზიდენტი შეეკრა პირადათ კრემლს, საიდანაც სლავიანოფილური ჰანგები გაისმა. დღეს კიდევ მზგავსი ჰანგები გაისმის იქიდან, იწყეს რუსის ერის რეაბილიტაცია, მისი ხოტბა, სლავიანთა წინამძღოლობა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლონეთი გადაჭრით უკუაგდებს ამ წინამძღოლობას, იუგოსლავიაცა—ჩურჩულობენ სალონებში, ბულგარიაც, დიდი უკრაინაც, თავის თავად ცხადია. საკვირველია ერთი რამ: საფრანგეთის სამხედრო სპეციალისტები ერთხმად აღიარებენ პოლონურ ჯარის უმაღლეს ღირსებებს, მაშინ როდესაც პოლიტიკოსები წითელი ჯარის «ძლიერებით» დამთვრალნი არიან! ერიო სრულიად სერიოზულად არწმუნებდა ყველას პალატის ტრიბუნიდან, ეს ჯარი უძლეველია, მისი რაოდენობა, ზავის დროს, 940 ათასიდან მილიონ 300 ათასამდე აიყვანესო. მან არ დაივიწყა, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის მცხოვრებთა რაოდენობაც: 170 მილიონ ხალხთან კავშირი ხუმრობა როდიაო.

ჩვენ ვიცით ამ ციფრების ღირებულება, არა ერთხელ გვიწერია ამაზე და გვიკითხავს, მაშ რად ეშინია ასეთ ძლიერ სახელმწიფოს, რად ეძებს ასე გაშმაგებით მოკავშირეთ? სტალინმა იცის ეს, ერიომ კი არ იცის, ან, შეიძლება, ორივემ იცის, გაურბიან მხოლოდ საჯაროთ მხილებას. მაგრამ, როცა ერიო აცხადებს: თუ რუსეთი ჩვენთან არ იქნა, ის გერმანიასთან იქნებაო, ამით ამყღავნებს უკვე, როგორ მოკავშირესთან აქვს საქმე: ვინც მეტს მისცემს, ვინც გადაარჩენს დამხობისგან, იმასთანაა.

მერმე, განა შეუძლიათ გადაარჩინონ ეს ახმახი, თუ ომში ჩაებენ? წარსული მაგალითებიც რომ არ იყოს, განა ისედაც ცხადი არაა, რომ ეს იმედი ყინულზეა დაწერილი? მაგრამ მოსკოვი გამოელის მეორეს, და ეს უკვე წამოიყრანტალა მისმა ქვეშევრდომმა პერიმ პალატაში: ევროპის კაპიტალიზმის დანარცხება—აი, ჩვენი სადღეისო მიზანიო. ამაში თითქო არ ცდებიან, თუ საყოველთაო ხანძარი გაჩნდა.

გლოვის დღე

თუთხმეტი წელი შესრულდა, რაც საქართველოს თავისუფლება მოსტაცეს, მონობის უღელი დაადგეს და მისი კერა ტანჯვითა და ცრემლებით აავსეს. თუთხმეტი წელიწადია, რაც მოსკოვმა თებერვალი შავ თვეთ გადაუქცია, გლოვის და მწუხარების სიმბოლოთ გაუხადა. მაისში გაშლილი თავისუფლების ვარდი თებერვალში დაიბზარა, მურტალი ხელით მოიგლიჯა და რუსის ჩექმით გაითელა.

ქართველ ერს არაერთხელ უნახავს უცხო მოძალადეთა შემოსევა; განუცდია რბევა და აწიოკება, მაგრამ მას არასოდეს უნახავს ის საშინელი ტანჯვა და ოხრება, რაც ეგ თუთხმეტი წელია მას თავს ადგია. თუთხმეტი წელია საქართველოს სიმდიდრე ნადგურდება, მისი სულიერი და ნივთიერი საუნჯე ნიავდება. ქართველი საქართველოდან იდევნება, იმის თავდადებულ შვილთა ულევი რიგები რუსეთის ცივ კუთხეებში ირეკება; მის მიწა-წყალზე გადამთიელი ბანაკდება.

მოსკოვის თებერვალს ზეიმობს; საქართველოში გაბატონებული რუსი ერის უბედობით მხიარულობს. მტრის ბანაკში ქეიფია—ერის გულში კი ბოღმა და სიძულვილი. დღეს საქართველოს გარეწარნი ბერია-მახარაძეები სტალინთან მილოცვის დეპეშასაც აფრენენ, ერის თავისუფლების დამარხვას ახარებენ და სამაგიეროდ ქართველი ერის წყევლასთან ერთად მოსკოვის მადლობას დაიმსახურებენ.

მგლოვიარე საქართველო კი ამ დღეს მწარე სიჩუმით, ალესილი ბრაზით ეგებება. მის მრთოლვარე ბაგეებიდან ჩუმი წყევლა და კრულვა გაისმის. სადღაც ჯურღმულებში, ნესტიან სარდაფებში ქართველი დედის ქვითინი დაბუდებულა. დაპყრობილ ერს აშკარა გლოვის და ტირილის უფლებაც წართმევია. ქუჩაში დაღვრემილი სახით გავლა შემოსეულ მტერს პროტესტის მძაფრ გამოსახვათ ეჩვენება. გაძარცულ, განადგურებულ საქართველოდან სიცილს მოითხოვენ, და... საქართველოც «იცინის»—მწარე ნაღვლიანი სიცილით მომავლის იმედს ეალერსება; თეთრ კბილებს აჩენს და სამტრო ფიქრებს გულში იმარხავს.

საქართველო ამ მეფუთხმეტე წელსაც ისე მტკიცედ დგას თავის უფლების სადარაჯოზე, როგორც წინედ—დაპყრობის პირველ დღეს. საშინელ ტანჯვამ, აწიოკებამ მისი ნებისყოფა ვერ შეარყია; ვერ გასტეხა მისი მთლიანობა და თავდადება. მართალია მას წაართვეს თავისუფლება, მაგრამ ვერ დაიმორჩილეს; მართალია ის დამარცხდა უსწორო ბრძოლაში, მაგრამ ვერ დაიმონეს, ყურმოჭრილ ყმათ ვერ გაიხადეს.

მან კარგად იცის, განკითხვის ჟამი დადგება; შემოსეულ მტრის ნიაღვარი ერთხელაც არის მის კუთხეებს მოსწყდება და უკუნეთში ჩაესვენება. მზე გამოანათებს თავისუფლების თავისუფლების ყვავილები კვლავ გაიშლებიან.

აბა ვინ არც იცის, რომ მოსკოვს ციებ-ცხელება აქვს გამჯდარი; მის წინააღმდეგ მომართული სამტრო ტალღები აზიის ველებიდან, რომ მოიგრაგნებიან, მას ძილს უფრთხობენ და მაშველის საძებრად კომუნისტური კრემლი კაპიტალიზმის კალთებზე დამხობილა. გუშინდელი «მესაფლავე» მის მიერ დასამარხად გამოცხადებულს შველას ემუდარება. ქოფაკისაგან დაფრთხალი მგელი ხსნას მეცხვარისაგან გამოელის.

ტყვილი იმედია! განწირულ მოსკოვს და საქართველოს ჯალათს სტალინს ვერ იხსნის კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან დაქორწინება. მისი ნგრევის და აღსასრულის დღეები თვით რუსეთიდან მოდის. განსჯის ძალები უკვე ჰორიზონტზე მოსჩანან. ხალხის რისხვას რომ გადაურჩეს, წითელ მარშლებს ვერსად წაუვა.

თვითეული წელი მტრის აღსასრულს აახლოვებს,—ჩვენს თავისუფლებას ხელშესახებად ხდის. მხოლოდ საჭიროა მოსალოდნელ ამბებს მომზადებულნი შევხვდეთ, მისი შესაძლებლობანი გავითვა-

ლისწინოთ და გამოვიყენოთ. წუთიერ გრძნობებს არ ავყვეთ და ერის ბედი საეგებიო ანგარიშში არ ჩავაგდოთ.

თებერვალმა გვიმუხთლა, მაგრამ გამარჯვების და აღდგომის დღე წინ გვიდევს. მომავალი ჩაგრულთ ეკუთვნის და პირველ რიგში რუსეთის დაპყრობილ ერებს. ამ უკანასკნელთა ჩაუდვა, სამუდამოდ დამაგრება საბჭოთა საპყრობილის დამპალ ბუნებს არ ძალუძს. მათ შეერთებულ იერიშის წინაშე ის უნდა დაინგრეს მზგავსად ავსტრო-უნგრეთის და ოტომანიის იმპერიებისა. ამ ნგრევის ტალღები მოსკოვს კარებზე უკაკუნებენ, მის შესანგრევად იქოჩრებიან. შორს არ არის ის დრო, როდესაც რუსეთის სივრცეზე აიშლებიან ისტორიის უტეხი ძალები და მის პირიდან აღიგვეებიან ტანჯვის, მონობის და ხალხთა აწიოკების შავი მოციქულები. ქართველ ერს დღეს უფრო, ვინემ ოდესმე, სჭირია ფოლადის სიმტკიცე, ნერვების სიმაგრე და ფხიზელი გონება. მისი სულიერი სიმშვიდე ვერ უნდა შეარყიოს მტრის დღევანდელმა ზეიმმა; ის არ უნდა ჩააგდოს სასოწარკვეთილებაში დღევანდელმა სიდუხჭირემ. უნდა გვახსოვდეს—მტერი ვულკანზე ცეკვავობს, მისი აფეთქება მხოლოდ დროს საქმეა.

15 წელია იტანჯება საქართველო და მასთან ერთად გმინავს მთელი კავკასია, ბობოქრობს უკრაინა; მტერზედ ვარჯიშობს თურქესტანი; კბილებს ილესავს ყაზახობა და რუსეთის თვალუწვდენელ ველებზე ამოძრავებულა ჩაგრულ ერთა ლეგიონები. გულის გასატეხი არაფერი გვაქვს. ჩვენი ძალები იზრდება, ჩაგრულ ერთა კავშირი ძლიერდება და ფოლადის მუშტად იკუმშება.

მტერი ზეიმობს,—ჩვენ ტანჯვაში ვფოლადდებით. განკითხვის ჟამი ახლოვდება; მას ვერ შეაჩერებს ადამიანის მუხანათობა, მტარვალის ზვიადობა. ის ჩვენთვის ხსნაა; მტრისათვის—გათხრილი საფლავია.

Рязтрдо.

მოსკოვის სამეფოში

ცხოვრებას თავისთავად აზრი არ აქვს, იგი ბრმაა და უგულო. მისთვის სულ ერთია ადამიანი და ჯიანჭველა, სახარის ქვიშიანი გახურებული მიდამოები და მწვანე ხავერდით დაფენილი, ყვავილოვანი მთამდელოები. თავის დაუსაბამო და უბოლოო სრბოლაში იგი მექანიურად, უანგარიშოდ ჰქმნის და არღვევს უთვალავ სახეთა უთვალავ კომბინაციებს. ეს კომბინაციები თავისთავად არც მოსაწონია და არც დასაწუნი, არც პროგრესიული და არც რეგრესიული. მხოლოდ ადამიანი აქტიური, მიზანშეწონილი ჩარევით აძლევს მათ სუბიექტიურ ღირებულებას. ყოველივე ის, რაც ადამიანს ამაღლებს, აფაქიზებს, ანიჭებს მას მაქსიმალურ შესაძლებლობას თვით დამკვიდრება-წარმატებისათვის, პროგრესიულია, მორალური და მისაღები და, წინააღმდეგ, ყოველივე ის, რაც ადამიანს აქვეითებს და უსპობს პირობებს წარმატებისაკენ, რეგრესიულია, ამორალური და უკუსადგდები. ადამიანია ცენტრი მსოფლიოსი, მისი ალფა და ომეგა. ოჯახი, ერი, ეროვნული სახელმწიფო მისთვის გვინდა, რომ იქ ადამიანს ეძლევა მაქსიმალური შესაძლებლობანი—იქნეს ჭეშმარიტი ადამიანი. მოსპეთ ადამიანი, წაართვით, რითაც ის ადამიანობს,—თავისუფალი აზრი და გრძნობა,—ჩაუდეთ ის მორალურ ხუნდებში, და ცხოვრებას მყისვე აზრი დაეკარგება, უკეთ რომ ვსთქვათ, ის აღარ იარსებებს ადამიანის თვალსაზრისით. და იქ, სადაც ცხოვრება მკვდარია, აბა როგორ შეგვიძლია ვეძიოთ რაიმე ნიშანწყალი დადებითი მოვლენების!

ასეთ უდაბნოს წარმოადგენს დღეს საბჭოების სამეფო. ყოველივე სისაძაგლე, რაც კი მოიპოვება ქვეყანაზე, ერთად შეზავებულან და სწრაფად, ძლევამოსილად ვითარდებიან იქ. ცარცვა-გლეჯა, გაიძვერობა, ფარისევლობა, დაუნდობლობა და სხვა ასეთი «საქმენი საგმირონი» ჩვეულებრივ მოვლენადაა იქ გადაქცეული. ამ საშინელებათა ავტორნი არიან მხოლოდ და მხოლოდ ბატონნი-ბრძანებლები, ხალხი კი, ეს ობიექტი ყოველგვარ უსამართლობათა, გმინავს, იტანჯვის, იხრჩვება და არსაიდან ხსნა, არსად თავშესაფარი.

რომ ეს ყოველივე ჭეშმარიტია, ამას მოწმობს თვით ბოლშევიკური პრესა. ვალაპარაკოთ იგი.

ქართული «კომუნისტი» 20 ოქტ. 1935 წ. ცარცვა-გლეჯის შესახებ მოგვითხრობს: «კლასობრივი მტერი, დამარცხებული პირდაპირ ბრძოლაში, ყველა უბანზე ცდილობს შემპარავი ზიანი მოგვაყენოს სოციალისტური საკუთრების და ქონების განიავებით. ამ მოვლენამ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო სავაჭრო კოოპერატიულ ორგანიზაციებში. 1934 წელს მარტო ცეკავშირის სისტემაში გაფლანგული და გატაცებულია 2.302.000 მან., ხოლო დანაკლისი (რაც თითქმის იგივე გაფლანგვაა) უდრის 1.802.000 მან.

მიმდინარე წლის პირველ ივლისამდე ცეკავშირის სისტემაში გაფლანგულ-გატაცებული თანხების რაოდენობა 2.362.000 მან. შეადგენს.

გაფლანგვას და მტაცებლობას სრულ განადგურებამდე. მიყავს სოფლის და ქალაქის სავაჭრო ქსელის არა მარტო ცალკე პუნქტები, არამედ საფრთხეს უქმნის ზოგი რაიკავშირის არსებობასაც... სავაჭრო კოოპერატიული ორგანიზაციები ჩქმალავენ გაფლანგვას და განიავებას და გამფლანგველები უდარდელად და თავისუფლად დასეირნობენ».

იგივე გაზეთი 29 ოქტ. 35 წ. მოგვითხრობს: «კავთისხევის კოოპერატივმა იზარალა 2.395 მან., ქვემოჭალის კოოპერატივმა—1.100 მან., კასპის კოოპერატივმა—1.500 მ., თვით რაიკოოპკავშირმა—25.000 მ.

როგორც სავაჭრო წერტებში, ისე თვით რაიკოოპკავშირში, გაფლანგვა და ქონების განიავება ხდება, მაგრამ ამ მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევენ».

ამგვარად, საბჭოთა სამეფოში ცარცვა-გლეჯაა უსაზღვრო, რასაც, როგორც გაზეთი ამბობს, «სულ განადგურებამდე მიყავს სოფლის და ქალაქის სავაჭრო ქსელის არა მარტო ცალკე პუნქტები, არამედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრთხეს უქმნის ზოგი რაიკავშირის არსებობასაც».

ზომები ამ ცარცვა-გლეჯის წინააღმდეგ?—არავითარი: «სავაჭრო კოოპერატიული ორგანიზაციები ჩქმალავენ გაფლანგვას და განიავებას და გამფლანგველები უდარდელად და თავისუფლად დასეირნობენ». ეს მცარცველები ცენტრის საიმედო აგენტებია «გენერალური ხაზის» ერთგული გამტარებელნი ადგილობრივ. ამიტომ მათთვის ყველაფერი ნებადართულია. ხალხი, მისი ქონება მათთვისაა და არა ისინი ხალხისათვის. ამ საგანგებო მდგომარეობას ეს მტაცებელნი უხვად სარგებლობენ და თავის განმანადგურებელ მოქმედებას მარტო კოოპერატივებით არ საზღვრავენ.

ყური დავუგდოთ იმავ «კომუნისტს» 28 ოქტ. 35 წ.: «საბჭოთა საქართველოს აქვს 2 ნახევ. მილიონამდე ჰექტარი ტყის ფართობი. ტყის სამრეწველო ექსპედიციაში ძირითადი გადამწყვეტი წილი საქართველოს ტყეებზე მოდის—წლიურად მზადდება 1660000 კუბმეტრი სამასალე მერქანი და შეშა. ხე-ტყის აღნიშნული რაოდენობა მზადდება 1500 ჰექტარი მთლიან საკაფავ ფართობზე და 12.080 ჰექტარი შერჩევით საკაფავ ფართობზე...

სატყეო სახ. კომისარიატის სისტემამ, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში აწარმოებს საქართველოს ტყეების ექსპლოატაციას, მხოლოდ 1934 წელს მოკიდა ხელი ტყის გაშენების საკითხებს და ისიც არა საკმაოდ.

1934 წელს მთლიანად გაიკაფა 1500 ჰექტარი ტყე, ტყის ახალი ნარგავის ფართობი კი მხოლოდ 367 ჰექტარს აღწევს და ამას გარდა გაშენებულია სანერგე 10,6 ჰექტარზე. სატყეო სახალხო კომისარიატის ორგანოები გაიტაცა ხე ტყის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულებამ. მაგრამ მათ მიივიწყეს ტყის დაცვა მტაცებლური ექსპლუატაციისაგან. მთელ რიგ რაიონში შეიქნა ტყის მასივების მოსპობისა და სტიქიური უბედურებათა (გვალვა, ნიადაგის გადარეცხვა ნიაღვარისაგან და სხვ.) საფრთხე (კახეთი, ბორჩალო და ტფილისი)».

ამ სტრიქონებს კომენტარიები არ ესაჭიროება. «მთელ რიგ რაიონებში, როგორც გაზ. ამბობს, შეიქნა ტყის მასივების მოსპობისა და სტიქიურ უბედურებათა საფრთხე». როგორც ერის მიერ შექმნილი, ისე ბუნების მიერ მოცემული დოვლათი ნიავდება. ამ ვანდალიზმში მოსკოვის აგენტები ერთი მეორეს ეკიშპებიან და ჩვენი უბედურება იმით ორკეცდება, რომ «ტყის სამრეწველო ექსპედიციაში, იმავე გაზ. სიტყვით, ძირითადი გადამწყვეტი წილი საქართველოს ტყეებზე მოდის». საქართველოს მტრებმა კარგად იციან, თუ რა უბედურებაა ქვეყნისათვის ტყეების განადგურება, მაგრამ ამაზე ვინ ფიქრობს. დღეს ხე-ტყის დამზადების სახელმწიფო გეგმა შესრულდეს, მოსკოვი დაკმაყოფილდეს, გეგმის შემსრულებელნი «ორდენოსანნი» გახდენ და ხვალ თუგინდ მთელი საქართველო ნიაღვარმა წაიღოს, ან გვალვამ გადაახმოს,—ეს ბოლშევიკებს სრულებით არ აფიქრებს.

გადავიდეთ სხვა დარგში, ვნახოთ ეროვნული პოლიტიკა. აქაც ყველაფერი ყირამალაა. ძველი «ცარისტული დერჟიმორდობა» ძალაშია. ადგილობრივი მკვიდრი იდევნება, რუსი იკავებს მის ალაგს. «ჩრდილო-კავკასიაში 18 სამხარეო დაწესებულებაში, სადაც 1.310 მუშაკი ითვლება, ადგილობრივი მკვიდრი მხოლოდ 18 კაცია. თვით სამხარეო აღმასკომში აპარატის 125 მუშაკში ადგილობრივი მკვიდრი მხოლოდ შვიდია. სასოფლო საბჭოებში, რომელთაც მოსახლეობის ძირითად მასასთან უშუალო კავშირი აქვთ, თავმჯდომარეებად მეტწილად დედაენაზე წერა-კითხვის უცოდინარენი არიან. ყარაჩაიას ოლქში 30 აულ—საბჭოს თავმჯდომარეში დედაენაზე წერა-კითხვა არც ერთმა არ იცის. საქმის წარმოება ოლქებში უმეტესად რუსულ ენაზე სწარმოებს» (ქარ «კომ.» 23 ოქტ. 35 წ.).

ასეთი სურათია ყველგან, საითაც არ უნდა გაიხედოთ, ყველგან ბნელა, მზე არსად არ ამუქებს, მძიმე, ნესტიანი, აშმორებული ატმოსფერა გიხუთავს სუნთქვას.

ვნახოთ სასამართლო. «საქმის გაჭიანურება ჩვენს სასამართლოში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. განა ჩვენში ჯერ კიდევ ცოტაა ისეთი სასამართლო საქმეები, რომლებიც მთელი წლობით და უფრო მეტ ხანასაც კი აჭიანურებენ?

სახალხო მოსამართლეებად მუშაკთა შერჩევას ბევრი ადგილობრივი საბჭოთა ორგანიზაცია არა სერიოზულად ეკიდება. ისინი ხშირად სასამართლოს ორგანოებში სამუშაოდ გზავნიან უვიც ადამიანებს. აქედან წარმოსდგება აბნეული, უაზრო დადგენილებანი... ზოგჯერ სასამართლო კამერა მთელი თვეობით გამოკეტილია, საქმეები გროვდება და თვეობით უძრავად აწყვია.

სასამართლოს მდივნები მეტწილად უვიცი პირებია და სასამართლოს სხდომის ოქმები გაუგებრად იწერება.

სამარყანდში გამართულ ცნობილ პროცესზე გამოირკვა: მდივანი ისე სწერდა ოქმს, რომ ბრალდების მოწმეთა ყველა ჩვენება დაცვის სიტყვებად გადაიქცა» (პრავდა» 4 ნოემ. 35 წ.).

«პრავდა»-ს სიტყვებით, საბჭოების სამეფოში სასამართლოები უვიცების ხელშია და ამ უვიც სასამართლოების კარებიც მთელი თვეობით გამოკეტილია. სამართლის გამჩენი არავინაა და ეს ბუნებრივია. როგორ შეგვიძლია ვეძიოთ სამართალი იქ, სადაც თვითნებობა და ძალადობა ყველაფერია, სადაც ქვეყნის უზენაეს მიზნად ორიოდე პირთა განდიდებაა გამოცხადებული. ამ ღვრია სათავიდან ბუნებრივად მომდინარეობს ღვრია ნაკადი: ხალხი უნდა იყვეს ტერორის ქვეშ, დატუქსული, მოკლებული ყოველივე საშვალებას თვითმოქმედების გამოჩენისათვის, რომ ბატონებს თავისუფლად შეეძლოთ თავიანთ ზრახვათა განხორციელება. ასეთ პირობებში ბატონები ყველაფერია, ხალხი არაფერი. ეს გარემოება ჰქმნის მონურ ფსიქოლოგიას თვით ბატონთა იერარქიაში. უნცროსი უფროსის მონაა, მისი კურტიზანი, მისთვის მომქმედი. სიამოვნება ბატონის მისი მიზანია, მლიქვნელობა იარაღი. და ეს მლიქვნელობა დღეს საბჭოების სამეფოში პირდაპირ ეპი-

დემიურ სენიადაა ქცეული. აქაც თვით ბოლშევიკურ პრესას ვიმოწმებთ.

«პარტიის ოლქკომი თავის მდუმარებით აქეზებს თავისი რაიონული გაზეთების ტლანქ მლიქვნელობას რაიონულ და საოლქო ხელმძღვანელთა მიმართ. მაგალითად, გამოდგება თუნდაც ჩელიაბინსკის ოლქის პეტუხოვის რაიონის გაზეთი, რომელიც გულის ამრევად და სრულიად დაუსჯელად მლიქვნელობს».

«გულის ამრევი და სრულიად დაუსჯელი მლიქვნელობა»,—აი რა ახასიათებს ბოლშევიკურ პრესას. პრესა იმის მაგივრად, რომ ხალხს ემსახურებოდეს, საზოგადოებრივ ჭეშმარიტებას ეძებდეს, სამართლიანობას იცავდეს, უსამართლობას ებრძოდეს, ძლიერთა მლიქვნელობაში ვარჯიშობს. პრესა სარკეა ცხოვრების, დაცემული პრესა დაცემული ცხოვრების მაჩვენებელია. ბოლშევიკური პრესა ამ მხრივ პირდაპირ სამაგალითოა. იქ ცოცხალი ფერადებითაა მოცემული მონური ფსიქოლოგიის სურათი.

მეორე ათეული შესრულდება მალე, რაც ბოლშევიკები ბატონობენ. ძალადობით, ხალხის სურვილისა და ინტერესების წინააღმდეგ, ჩაიგდეს მათ ხელისუფლება და ძალადობითვე განაგრძობენ დღემდის ბატონობას. ძალადობას, ტეროროს ბოლო არ უჩანს. ხალხის საუკეთესო შვილნი მილიონობით შეიწირა მან და დღესაც იწირავს. ქვეყანა გაპარტახებულია მორალურად, ნივთიერად. ამ უდაბნოში ბოროტნი სულნი დათარეშობენ და მსხვერპლთა სისხლს გაუმაძღრად ეწაფებიან. თუ სადმე სიცოცხლის ნიშანწყალი დაინახეს, მყისვე იქვე არიან, რომ იგი (სიცოცხლე) ძირიან ფესვიანად ამოაგდონ. მლიქვნელი პრესა ამ სიკვდილის მოციქულთ გუნდრუკს უკმევს, ქებათა ქებას ასხამს, ცხოვრების შემომქმედ გმირებად სახავს...

მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკური პრესა მონური პრესაა და ცდილობს სინამდვილე დაფაროს, მაინც სურათი, რომელსაც იგი იძლევა, პირდაპირ სასოწარმკვეთელია. თუ ბოლშევიკების ბატონობა კიდევ გახანგრძლივდა, ხალხს სრული განადგურება მოელის. მაგრამ იმედია ამ უბედურებას ახლო მომავალი თავიდან აგვაცდენს.

ილია ნუტუბიძე.

განახლებული ირანი

(პოლონურ ჟურნალებიდან)

I.

ეკონომიური მდგომარეობა.

ჯერ კიდევ, 15-18 წლის წინად, დღევანდელი ირანი ყოველმხრივ ჩამორჩენილ აზიურ ქვეყანას წარმოადგენდა, სადაც უცხო ძალები თავს ბატონად გრძნობდენ; ხალხის ავლა-დიდებას ითვისებდენ და თავისუფლად დანავარდობდენ. რაც უცხოელთ და გადამთიელთ გადარჩებოდა, იგი შინაური ყაჩაღების და ადგილობრივი სატრაპების ლუკმა ხდებოდა. დაფრთხალი მცხოვრებნი საღამოს შიშით გარეთ ვერ გამოდიოდენ; ერთი პროვინციიდან მეორეში გადასვლა გმირობას უდრიდა. გზაში თავდასხმა, სოფლების აკლება, ხოცვა-ყლეტა ჩვეულებრივი ამბავი იყო. გამკითხავი არავინ იყო. ხალხი სიბნელეში და სიღატაკეში სულს გმინავდა. ჯოხი და ძალადობა მართველობის ერთად-ერთ სისტემად იყო გამოცხადებული. რასაკვირველია, ამ ჯოჯოხეთურ პირობების დამყარების სულის ჩამდგმელი ქვეყანაში მოთარეშე გარეშე ძალები იყვნენ. სამხრეთით, კუმიდან მოკიდებული ვიდრე სპარსეთის ყურემდე, ინგლისელები ბატონობდენ. ჩრდილოეთ პროვინციებში,—თეიერანითურთ—კი რუსები.

საინტერესოა, რომ ოდესღაც მძლავრი ირანის დეგრადაცია იწყება მე-18 საუკუნის მიწურულიდან, ე. ი. მაშინ, როდესაც რუსეთი კავკასიას დაეპატრონა და კასპიის გაღმა ველები თავის გავლენის ქვეშ დააყენა. ხოლო კავკასიაში გამაგრების შემდეგ რუსეთის იმპერიალიზმის ინტერესები და მიზნები კიდევ უფრო გაიზარდა: კავკასიის და თურქესტანის პლაცდარმებიდან ახლო აღმოსავლეთზე მიწოლა, სპარსეთ-ოსმალეთის განადგურება და სპარსეთის ყურეზე გამაგრებით ინდოეთ-ბელუჯისტანის საფრთხეში ჩაგდება. ამ მიზნების გასაშუქებლად საინტერესოა, რომ რუსეთმა დიდ ომში სამხრეთ ფრონტზე ყველაზე მეტი ენერგია სპარსეთის მიმართულებით გამოიჩინა და თავისი ლაშქარი ქერმანშაჰ-ქამადანით ისპაჰანში შეიყვანა და რომ ინგლისის წინააღმდეგობა არა, ბასორაში და ბუშირშიაც თავს ამოყოფდა. ცხადია, ინგლისი (მაშინდელი მოკავშირე) კარგად ხედავდა რუსეთის იმპერიალიზმის ზრახვებს და თავის მხრივ თავდაცვის ზომებს იღებდა.

ამრიგად ორ მძლავრ მოქიშპეთა შორის მოქცეული სპარსეთი, თავის პროვინციალიზმით და ადგილობრივი თვითნება სატრაპებით, გულშემზარავ სურათს წარმოადგენდა: სრული სიბნელე და სიღატაკე, პოლიტიკური არარაობა და სულიერი გაჩანაგება—აი რა იყო გუშინდელი ირანი. თვით შაჰინშაჰი (მეფეთა-მეფე) რუსის გენერლის და ინგლისელ მაიორის ხელში უბრალო ტიკინას უფრო გავდა ვინემ ოდესღაც დიდი ირანის მფლობელთა შთამომავალს.

ასეთ ისტორულ ვითარებაში, ბუნებრივია, ქვეყანაში მოთარეშე ძალები ყოველ ღონეს ხმარობდენ, რათა სპარსეთი არ გამოსულიყო სიღატაკისა და სიბნელისაგან; არ დასდგომოდა განვითარების და აღორძინების გზას. ასეთი რამ განსაკუთრებით არ უღიმოდა რუსეთის იმპერიალიზმს, რომლის ინტერესები სპარსეთის ჩრდილოეთით იდვა. ირანის აღორძინება და პროგრესი, მისი პოლიტიკური და ეკონომიური წარმატება ნიშნავდა—უცხოთა თარეშის ალაგმვას, მოძალადეთა განდევნას, და არამკითხე ალეკუნების გავლენის მოსპობას. ეს ასეც მოხდა... სპარსეთის მთა-ველებზე გვრინვით გადაიარა ასი წლით ნადენმა ნიაღვარმა. მისი ერთი ნაკადი სპარსეთის ყურეში ჩაწვა; მეორე კი აღრეული და ჩაკუპული კასპიის ზღვის მლაშე ტალღებს შეუერთდა. მათგან დაშთენილი ქვიშა და ხრეში დღეს ირანის საზრუნავ საქმეთ გამხდარა, დიდი და პატარა, ქალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კაცი გარეთ გამოსულა. სილა და ხრეშიდან ქვეყანას წმენდენ ახალ ცხოვრებას აგებენ და ირანს დაკარგულ სახელს უბრუნებენ.

უკანასკნელი წლები ირანის ისტორიაში ახალ და ძვირფას ფურცლებს სწერენ. დაიწყო ქვეყნის აღორძინება; ის იტაცებს და ითრევს ხალხის ყველა ფენებს. მასების წრიდან ამოდის საუკუნოებით იქ დამალული ეროვნული მეობის ნაღვერდალი და ის მანათობელ ჩირაღდნად გაუხდიათ. ქვეყანა კიდით კიდიდან შეინძრა. გაჩდენ ახალი მოთხოვნილებანი და პირობები. გაფაქიზდა ზნე და გემოვნება. სპარსელმა თავი იგრძნო მოქალაქედ და შეუდგა ახალ ცხოვრების მოწყობას.

დაიწყო ძველის, უვარგისის მოშლა და მის ნანგრევებზე ახალ ვითარების აგება. ამ ეროვნულ ცხოვრების ნგრევა-შენობის ხანაში საჭირო იყო ხელმძღვანელისთვის დიდი ნებისყოფა, დიდი გამჭრიახობა, რათა სწორ გზას არ გადაცდენოდა და ეროვნული შენობა საფუძველშივე არ დანგრეოდა. მაგრამ დღევანდელი ირანის საბედნიეროდ, მისი ბელადი აღმოჩნდა არა მარტო მეფე, არამედ ნიჭიერი მართველიც. მან უარყო რა ძველი ჩვეულებანი და მართველობის რეაქციონური წესები—ხელუხლებელი დასტოვა ეროვნულ ეკონომიკის მთავარი საფუძვლები—კერძო საკუთრება და კერძო თაოსნობა. გააერთიანა პროვინციებად დანაწილებული სპარსეთი და ალაგმა თავაშვებული ფეოდალები და მით გლეხის მეურნეობას მტკიცე საფუძველი ჩაუყარა. ხდება სრული რეორგანიზაცია წარმოებაში და აღებ-მიცემობაში. ძველ სპარსულ «თაიჯარები» სა და «ბაზარღანები»-ს ადგილას გაჩნდენ ტექნიკურად საკუთრებით მოწყობილი ფაბრიკები და ევროპიულ ყაიდის ვაჭრები. დიდ ქალაქებში თანდათან ქრებიან ძველი «ბაზარღანები» და მათთან ერთად დავიწყებას ეცემა მათი ვაჭრობის ლეგენდარული წესები. შინაურ ვაჭრობის რეორგანიზაციასთან ერთად ხდება საგარეო ვაჭრობის გადახალისება, რომელსაც განაგებს ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო. ამ მხრივ შესამჩნევ როლს თამაშობს აგერ ეხლა დაარსებული საზოგადოება «ქალა», რომლის მიზანია საექსპორტო დარგების ცენტრალიზაცია, ბრძოლა სპეკულიაციის წინააღმდეგ და ქვეყნის ნაწარმოებისათვის საგარეო ბაზრის მოპოვება.

ცნობილია, რომ სპარსეთი დღემდის წარმოადგენდა ევროპის ბაზარს. იქ არ მოიპოვებოდა არც ერთი ქარხანა, არც ერთი ნაციონალური წარმოება, გარდა ნავთისა. წარმოიდგინეთ არ მზადდებოდა არც ერთი კვნიტი შაქარი, არც ერთი არშინი ევროპიული სახის ფართალი. დღესაკი ირანში მუშაობს 8 შაქრის ქარხანა—ფერიჯენქში, ქერეჯში, ვერამინში, ვანში, ფარსში, შაჰაბადში და სხვაგან; ძაფის—შირაზში და შანში; მაუდის ქარხნები—ისპაჰანში. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მუშაობს სამხედრო საჭიროებისათვის. ქაშანურის (ფაიანსის) ქარხანა და მრავალი სახელოსნოები—თეირანში. ყველა ეს ქარხნები ადგილობრივია; ეკუთვნიან ან კერძო პირებს, ან სახელმწიფოს...

მთელი ირანი დასერილია საავტომობილო გზებით. იქ, სადაც 10 წლის წინად მხოლოდ ვირებით შეიძლებოდა მოგზაურობა—დღეს ფორდები, სიტროენები, რენო და პეჟოები დასრიალებენ. მივარდნილი კუთხეები ფართო გზატკეცილებით ებმიან სატახტო ქალაქს—თეირანს. მანძილი შემოკლდა, მიმოსვლა გაადვილდა და უშიშარი გახდა. საქონლით დატვირთული ავტოთა ქარავნები სავსებით დაეპატრონენ აქლემთა ათასწლოვან ქარავნების საგზალ გზებს და ამ «უდაბნოს ხომალდთა» ნავთსადგურები—ძველი «ქარავანსარაები»—დღეს დაფვრემილი გამოიყურებიან. ბენზინის რაშებს იგინი აღარ სჭირდებათ; იქ მხოლოდ ექსცენტრიული მოგზაური თუ შეიხედავს. საავტომობილო გზებს დღეს ემატება ტრანსირანის რკინის გზა, რომელიც კასპიის ზღვიდან დაწყებული გადასჭრის ირანის პლატოს და თეირანზე გავლით სპარსეთის ყურეში ეშვება. მისი სიგრძე 1.500 კილ. უდრის. ხაზის ორივე თავში მომრაობა უკვე სწარმოებს. ჩრდილოეთით—120 კილომეტრზე, სამხრეთით 350-400 კილომეტრზე. მთელი ხაზის დამთავრება ნავარაუდევია სამ წელიწადში. ამ გზის აღმშენებლობაში დებანდებულია 100.000 მუშაზე მეტი. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა ეკონომიური და სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ამ გზას ირანის მომავლისათვის, მაგრამ ამავე დროს იმას უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობაც ეძლევა. ის ჰკვეთს რა ირანს ჩრდილოეთიდან სამხრეთით—გაივლის სახელმწიფოს მთავარ ცენტრებში და მდიდარ პროვინციებში, რომელთა აცმა და ერთი მეორეზე დაკავშირება ასე ძნელი იყო დღემდის.

სპარსეთის შორეულ კუთხეების ცენტრთან მჭიდროდ დაკავშირებამ; პროვინციათა ურთ-ერთ შორის გზა-ტკეცილების ქსელით გადამბვამ; ცენტრალურ და ადგილობრივ ადმინისტრატიულ წესების განმტკიცებამ—ირანი მძლავრ ცენტრალურ სახელმწიფოდ გადააქცია. თეირანის მთავრობის აბტორიტეტი და ძალა დღეს რეალურ ფაქტორებს—თვითმართველობებს, ადმინისტრაციას და ჯარს—ემყარება. ხანების და აღების ბატონობა მოსპობილია. მათ ადგილას მთავრობის გუბერნატორები და ხალხის ნდობით აღჭურვილი მოხელენი განაგებენ. ამრიგად, სრული წესრიგი და მყუდროება მოქალაქეთათვის უზრუნველყოფილია. ყაჩაღობა და ცარცვა-გლეჯა ალაგმულია. შეგიძლიათ მთელი სპარსეთი უჯოხოთ მოიაროთ—კაცი ხელს არ გახლებს. უეჭველია სპარსელი ამას აფასებს—ამიტომაცაა იგი წარსულს წყევლის—ახალს ადიდებს.

გზათა მშენებლობა, ქარხნების და წარმოებების გამართვა—ეს აღმშენებლობის ერთი მხარეა. ამასთან პარალელურად შენდება და ლამაზდება დაბა-ქალაქები; ძველი, ბნელი შენობების და ვიწრო ქუჩების ალაგას იგება და იმართება ახალი სახლები ფართე ქუჩები, გაჰყავთ არხები, ცრცხლდება გადამწვარი ხრიოკები, იძრსება ამომშრალი ხეობები; ხდება რესტავრაცია ისტორიული ძეგლების; მეჩეთების—ირანულ არქიტექტურის ამ უკვდავ ნაშთების... აბა, რა იყო გუშინ თუგინდ თეირანი? ჯერ კიდევ 1910 წელში, ფრანგ მოგზაურის კლოდ ანეს თქმით, ის «სანაგვე ორმოს წარმოადგენდა»—დილი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან საღამომდის მტვერში გახვეული, ვიწრო, ბნელი ქუჩებით და ქუჩებში საშინელი ორმოებით, სადაც ღამის მგზავრი კისერს იტეხდა. მისი ცენტრი—მოედანი «თოფხანე»—შემოდგომიდან გაზაფხულამდე გაუვალი ჭაობი იყო. მოედნის ერთი კიდიდან მეორეზე მგზავრები «ამბალებს» ზურგით გადაყავდათ და ნიხრათაც ერთი ყრანი ედო. დღეს კი თეირანი მშვენიერი, კოპწია ევროპიული ქალაქია (400.000 მცხოვრებით) თავისი განათებით, ფართო, ასვალტით მოკირწყლულ ქუჩებით და ლამაზი, კოხტა ევროპიული სახლებით, სასტუმროებით, კაფე-რესტორანებით, კაბარეებით და მორთული კინოებით. აბა, რომელ ევროპიულ ქალაქის ქუჩებს ჩამოუვარდებიან—ისტამბული, ნადერი, იუსუპ-აბადის ხეივანი, ფირდოუსი და სხვები? «თოფხანე»—ეს ძველი «თოფხანე». აბა ვინ იცნობს მას დღეს, გალამაზებულს, ასფალტით შემოსილს და, მის შუაგულში, კოპწია ბაღით მოკაზმულს? თითქოს თეირანმა საუკუნო ძილიდან გამოიღვიძა, პირის სახე მოიბანა, თმები გადაივარცხნა და პატარძალივით მოიკაზმა!

განა მარტო თეირანი! მას მიყვება ისპაჰანი, ეს ირანის დიდების უკვდავი ძეგლი, შირაზი, ქამადანი, კუმი უძველეს სამლოცველოებით, კერმანშაჰი თავის ისტორიულ ძეგლებით; კოხტაობს მთელი მაზანდარანის და გილანის პროვინციები: უბრალო დაბები—სარი, შაჰი, აბასაბადი, და მრავალი სხვები, ქალაქებად იქცენ,—ახალ ცხოვრებას ხმა მისცეს და საერთო აღმშენებლობაში მტკიცედ ჩაებენ.

გარეგანი ცვალებადობა შეიქნა შედეგი შინაგან, სულიერ და სოციალურ ცვალებადობის. სპარსელს გასაქანი მიეცა, მის ნიჭს და უნარს ასპარეზი გაეხსნა. აღებ-მიცემობამ, ეკონომიურ აღორძინებამ მატერიალურ კმაყოფასთან ერთად სულიერი საზრდოც მოითხოვა. გუშინ სიბნელით და უვიცობით მოცული ქვეყანა დღეს სკოლებით და კულტურულ დაწესებულებებით იფინება. რომ ეს ლიტონ სიტყვებად არ ჩამომერთვას, ჩემს თავს ნებას მივცემ ზოგიერთი ფაქტები მოვიყვანო:

1925 წელს სპარსეთი განათლების საქმეში ხარჯავდა 7.731.380 ყრანს; ხოლო 1934 წ. განათლების ბიუჯეტი ავიდა—47.227.250 ყრ. ამრიგად 9 წლის განმავლობაში ბიუჯეტი შვიდჯერ გაზრდილა (ანგარიშია ოქროზე). მეორეს მხრივ, სკოლების რიცხვი 1925 წელს უდრიდა 1085-ს, 1934 წელს კი—4663-ს. აქეთან 3793 ვაჟების და 870 ქალების; ხოლო საერთო რიცხვი მოწაფეთი შეადგენდა—216.410-ს.

აგრეთვე საინტერესოა ქალთა ემანსიპაციის ზრდა კულტურულ დარგში: 1934 წელს ირანში ირიცხებოდა 10.410 მასწავლებელი; აქედან 7.305 მამაკაცი და 3.105 ქალი. ეს მაშინ, როდესაც 1912 წელს 1912 წელს 2.034 მასწავლებელზე მხოლოდ 50 ქალი მასწავლებელი მოდიოდა. მაშასადამე 22 წლის განმავლობაში ქალ მასწავლებელთა რიცხვი 62-ჯერ გაზრდილა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სკოლების და მასწავლებელთა რიცხვის სწრაფი ზრდა იწყება არა 1912 წლიოთან, არამედ 1925—27-დან, მაშინ ნათელი გახდება თუ რა ტემპით მიდის წინ ირანის კულტურული აღორძინება. ირანში არსებობს ერთი უნივერსიტეტი და ერთიც სასულიერო აკადემია.

შემცდარი იქნებოდა, თუ ვიფიქრებთ, რომ ირანი მარტო ადგილობრივი სასწავლებლებით კმაყოფილდება. ყოველ წლიურად, მთავრობის ხარჯზე, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში იგზავნება 500-მდე ახალგაზდა სპეციალურ ცოდნის შესაძენად და საკუთარ ქვეყანაში ევროპიულ განათლების და ტექნიკის შესატანათ.

ამრიგად, სწავლა-განათლებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და მის სათავეშიაც ღირსეული პირი დგას მინისტრ ჰეკმეტის სახით, რომლის ენერგიას და ორგანიზაციულ ნიჭს მიეწერება ასეთი სწრაფი და ნაყოფიერი წარმატება სწავლა-განათლების საქმეში...

ერთი სიტყვით, ძველი სპარსეთი ახალ ირანად დუღდება; იქმნება ახალი ერი, ახალი მისწრაფებებით და გარკვეული პერსპექტივებით. ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებასთან ერთად ახლდება და იღვიძებს ძველი ირანის მხედრული ნიჭი. გუშინ ყველასაგან აბუჩად აგდებული სპარსეთი; ევროპაში და ახლო აზიაში ვაჭრუკანად ცნობილი—დღეს მეომრის ჩაჩქანში ჯდება. დიდი ხანი არ არის რაც საძირკველი ჩაეყარა ირანის ახალგაზდა ჯარს და ის დღეს საგრძნობ ძალას წარმოადგენს ევროპიულ მომზადებით და გაწვრთნით. ჯარში სამსახური სავალდებულოა ირანის მოქალაქისათვის. სპარსელი ეხლა ჰაერშიაც ისე თავისუფლად დანავარდობს, როგორც მის კლდე-ხრიოკიან მიდამოებში. და რაც მთავარია ირანის ფოლადის არწივებს არა ევროპიელები მართავენ, არამედ თითონ სპარსელი მფრინავები. ირანის საჰაერო ფლოტი და ჯარი სპარსეთის ღვიძლი შვილია, ხალხი იმაში თავის მხსნელს და დამცველს ხედავს, ამიტომაც მთელი ერი მითი ამაყობს.

ყველაფერი ეს ათი წლის ამბავია და მერე რა მდიდარი შედეგებით და ეფექტებით!

Х. Х.

ვარშავა.

ემიგრანტულ პრესის მიმართულებათა შესახებ

ქართულ ემიგრანტულ პრესის ზოგიერთ ორგანოებში უკანასკნელ დროს ყურადღებას იქცევს ერთნაირი მიმართულება, რომელსაც თითქოს მიზნად დაუსახავს განსაკუთრებულად ძებნა და აღნიშვნა უარყოფითი მოვლენების საქართველოს დამოუკიდებლობის ხანისა. ავტორები თითქოს ხელმძღვანელობენ სრულიად სწორი მოსაზრებით, ე. ი. რომ საკუთარი შეცდომების შესწავლა საუკეთესო ჭკუის მასწავლებელია.

ისინი ამბობენ, საჭიროა ხალხს ჩაუნერგოთ რწმენა, რომ დავემორჩილეთ მტერს არა იმიტომ, რომ ძალა მის მხარეზე იყო, არამედ და უპირველესად ყოვლისა მხოლოდ ჩვენი საკუთარი სისუსტის გამო. უნდა შევაგნებინოთ, მიუხედავად იმისა რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარშემორტყმული ვართ ძლიერი დამპყრობელი მეზობელთა რკალით, მდგომარეობა ჩვენი არამც და არამც უნუგეშო არ არისო.

შესაფერისად დარაზმულნი და კარგი ხელმძღვანელთა მყოლნი თავს ყოველთვის ვუშველით. შეგვიძლია დამოუკიდებელი ცხოვრება. ამიტომაც საჭიროა ჩადენილი შეცდომები შევისწავლოთ და დასკვნებიც შესაფერისი გავაკეთოთ, რათა მომავალში თავიდან ავიცდინოთ მათი განმეორებაო.

ასეთი მოსაზრებანი უეჭველად სწორია, მაგრამ ძლიერ ხშირად ავტორები პრიმიტიულად უდგებიან საკითხს: ვერ ხედვენ, რომ ძირი და ფესვები შეცდომათა, რომელთ შესახებ არის ლაპარაკი, იმყოფება სადღაც შორს დამოუკიდებლობის არსებობის წინა ხანებში. გარდა ამისა აბობოქრებულ 1918-1921 წლების მოვლენებს დღევანდელი დროის საზომით ზომავენ. ავტორებს აგრეთვე არ აქვთ ყოველთვის საკმაო ისტორიული მასალა თავის განკარგულებაში.

იბადება კითხვა, ავტორი, რომელიც აღწერს 1918-21 წ. ეპოქას და მკითხველს აწვდის მხოლოდ და მხოლოდ უარყოფით მოვლენა-სურათებს ამ ხანისა, ხომ არ უთხრის მით, თავისდა უნებლიეთ, ძირს თვით დამოუკიდებლობის იდეას.

რომ ეს უფრო ნათლად გავიგოთ, ჩაუფიქრდეთ იმას, თუ რა ხანაში ვცხოვრობთ: ვცხოვრობთ ისეთს დროს, როს ამა თუ იმ მიზეზების გამო დავკარგეთ დამოუკიდებლობა. ასეთს დროს უპირველესად ყოვლისა უნდა ვიმუშაოთ, ვემზადოთ შესაფერისად, რათა მოვლენანი, რომელნიც გველოდებიან და აუცილებლად დამოუკიდებლობის საკითხს კვლავ რომ წამოაყენებენ, არ იქნენ ჩვენთვის მოულოდნელნი და ისევე მოუმზადებელნი არ დავრჩეთ, როგორც ეს 1918 წელს იყო.

უმთავრეს მიზნად ამ მოსამზადებელ ხანისა უნდა იქნეს ჩანერგვა ყველას სულსა და გულში იმ აზრის, იმ რწმენის, რომ დამოუკიდებლობა ჩვენი ქვეყნისა არის აუცილებელი და მთავარი მიზანი და შინაარსი მთელი ჩვენის ცხოვრების. უნდა აღვძრათ ყველაში მისდამი განუსაზღვრელი ლტოლვა-მისწრაფება როგორც უმშვენიერეს და უწმინდეს იდეალისადმი. შევმოსოთ მისი სახელი ბრწყინვალე შარავანდედით.

ხოლო როს ვხატავთ საქართველოს დამოუკიდებლობის მხოლოდ ბნელ მხარეებს, ნუ თუ ამით ჩირქს არ ვსცხებთ თვით დამოუკიდებლობის იდეას? განა არ შეიძლება აღეძრას, უნებლიეთ დაებადოს მკითხველს აზრი, რომ არ ღირს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და მსხვერპლის გაღება, თუ მას თან დასდევს ამდენი უარყოფითი მხარე.

და დღეს, როს თვითეული ჩვენთაგანის ყოველი ძალა მიმართული უნდა იყვეს უდიადესი მიზნის მისაღწევად, განა გვაქვს უფლება დავასუსტოთ ჩვენი ძალები მორალურად ასეთი აზრების—განცდების წარმოშობა-გამოწვევით? განა ასეთი რამ არ იქნება აგრეთვე მოხერხებულად გამოყენებული ჩვენი მოსისხლე მტერთა პროპაგანდის მიერ?

უნდა იყვეს აპოთეოზი დამოუკიდებლობის იდეისა, და ამიტომაც მიუღებლად მიგვაჩნია ჩვენ ხელოვნური სურათის ხატვა ხელოვნურად დაგროვებულ დამოუკიდებლობის ხანის ბნელ მხარეთა მხოლოდ აღნუსხვით. დამოუკიდებელი საქართველოს ცხოვრება არ იყო ისეთი, როგორც ამას გვიხატავენ ზოგიერთი ავტორები. უარყოფით მოვლენებთან ერთად იყო აგრეთვე ნათელი და ბრწყინვალე მოვლენებიც. როს ვლაპარაკობთ შეცდომებზე, ზედმეტი არ იქნება ვსთქვათ აგრეთვე რამოდენიმე სიტყვა მიღწევებზეც. გამარჯვება-მიღწევათა მოგონებას აქვს ის დადებითი მხარე, რომ ამხნევებს ადამიანს, აძლევს და უმტკიცებს მას რწმენა-იმედს და ეს ხომ ძლიერ გვესაჭიროება დღევანდელ პირობებში.

დეე, ტალღამ თავის თავის გაკრიტიკება-გამათრახებისა, რაც ასე ახასიათებს დღევანდელ ემიგრაციას, არ გადაგვახვევიოს სწორი გზიდან, არ გამოუთხაროს საძირკველი 1918 1921 წ. ეპოქას.

მიუხედავად მოკლე დროისა ამ ეპოქამ უდიდესი როლი ითამაშა ჩვენი ერის ცხოვრებაში. გამოაღვიძა ჩვენი ხალხი ლეტარგიულ ძილიდან, გამსჭვალა მარადისობა-უკვდავების დიადი იდეით. მისცა, აღაფრთოვანა რწმენით ის უთვალავი გმირები, რომელთაც 21 წლის შემდეგ ბრძოლებში სიხარულით და აღტაცებით მიიტანეს თვისი თავი, თვისი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე.

დეე, ჩვენც მოგვანიჭოს მან ძალა, ასე საჭიროა ჩვენს მდგომარეობაში. წინაამდეგ საშინელი დევნისა და რეპრესიებისა საბჭოების მხრით, იდეა დამოუკიდებლობის ცოცხლობს და მთელი ქართველი ერი სწორედ დღეს არის გამსჭვალული და ანთებული ამ იდეით. ამიტომაც მეტის რიდით და მოწიწებით მოვეპყრათ ჩვენი დამოუკიდებლობის ეპოქას.

თუ მაინცდამაინც გვსურს ჭკუა ვისწავლოთ ჩადენილ შეცდომებიდან, უკეთესი და უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა შეგვესწავლა საფუძვლიანად შეცდომები იმ დროისა, რომელიც უსწრებდა 1918 წ. ხანას. ეს უფრო ლოღიკური იქნებოდა. ვინაიდან დღესაც, როგორც წინედ, ვემზადებით დამოუკიდებლობისათვის, ამიტომაც შევისწავლოთ და გავეცნოთ კარგად იმას, თუ რა უსწრებდა ჩვენში დამოუკიდებლობას, რათა არ გავიმეოროთ ის შეცდომები, რომელთა მიზეზით წაგებულ იქნა 1921 წლის ომი.

ასეთი კვლევა-ძიება უფრო რაციონალური და საღი იქნება; აგვიხელს თვალებს წარსულ შეცდომებზე და არ შეგვაბღალვიებს დამოუკიდებლობის იდეას. ხოლო დამოუკიდებლობის დროს ჩადენილ შეცდომების განხილვა შეგვეძლება მომავალშიაც. დღეს კი შემოვკრბეთ ყველანი ერთად და ნუ ვფანტავთ, ნუ ვაჩანაგებთ ჩვენს ისედაც მცირე ძალებს.

დ. შ.

ვარშავა. 1936. თებ.

იაპონია და ჩინეთი

(იაპონელ გენერალ ტადას გეგმა)

ერთს ფრანგულ ყოველთვიურ გამოცემაში დაიბეჭდა თარგმანი იაპონელთა ჯარის უფროსის ჩრდილო ჩინეთში გენერალ ტადას (ჰაიაოს) მიმართვისა იაპონელების მიმართ. ეს მომართვა შედგენილია არა პროპაგანდისათვის უცხოელთა შორის, არამედ მხოლოდ იაპონელების საყურადღებოდ, განსაკუთრებით იმ იაპონელებისა, რომლებიც გაფანტულნი არიან ჩინეთში (400 ათასამდე), და არკვევს იაპონელთა სამხედრო წრეების პოლიტიკურ შეხედულებას და საგარეო პოლიტიკას საერთოდ და კერძოდ ჩინეთის შესახებ. იაპონიის პოლიტიკის მთავარი ხელმძღვანელნი დღეს სამხედრო პირები არიან და ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს დასახელებული მიმართვის შინაარსი, რომელიც უეჭველად ფრიად სასარგებლო მასალაა შორეულ აღმოსავლეთის ამბების გასაგებად.

ყოვლის უწინარეს გენ. ტადა ასე ახასიათებს დასავლეთ-ევროპიელების მოქმედებას შორეულ აღმოსავლეთში: «იმ დღიდან, როცა დასავლეთელები დაბინავდენ შორეულ აღმოსავლეთში, თეთრ სახელმწიფოთა პოლიტიკა ჩინეთში მიმართული იყო იმისკენ, რომ ან დაენაწილებიათ უკანასკნელი, ან დაეწესებიათ საერთაშორისო კანტროლი, ან გაეფართოვებიათ მუდამ თავის გავლენის სფეროები, ან ეწარმოებიათ საკომერციო ბრძოლა და მიეღოთ კონცესიები. ამის ცოცხალ მაგალითს დღესაც ბევრს ვხედავთ. მართალია, აგრესივობის ფორმები შეიცვალა, მაგრამ საქმის ნამდვილი ვითარება იგივე დარჩა—თეთრები სულ იმას ცდილობენ, რომ რაც შეიძლება მეტი შეიძინონ ჩინეთის ექსპლოატაციით. წინაამდეგ ამისა იაპონია ყოველთვის ახორციელებდა თავის ნაციონალურ პოლიტიკას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ დაცულ იქმნეს მთლიანობა ჩინეთის ტერიტორიისა, აგრეთვე მეგობრობის პრინციპი და ჩინეთ-იაპონიის თანამშრომლობა ორივე ერის არსებობის დასაცავად და ურთერთის კეთილდღეობისათვის».

ტადა აღიარებს, რომ ხანდახან იაპონელთა შორისაც გაისმოდა ხმა, რომელიც არ ეთანხმებოდა ამ მიმართულებას: ზოგიერთები ჩინეთის ანექსიას მოითხოვდენო. ამ გარემოებამ დიდი ზიანი მოუტანა იაპონიას და ჩინელთა უნდობლობა და მტრობა გამოიწვია. უნდა დავუბრუნდეთ ამიტომ ჩვენს პირვანდელს პოლიტიკას.

«თვალი გადავავლოთ იმ საერთაშორისო ვითარებას, რომელიც ხდება ჩვენს თვალს წინ. დავინახოთ დიდი საერთაშორისო ცვლილება, ზრდა საპროტესტო მოძრაობისა თეთრი რასის ერების ტირანიისა და იმპერიალიზმის წინაამდეგ. ეს არის დასაწყისი რასათა ომისა, რომელიც მიმართულია ფერად რასების განსათავისუფლებლად, რომლებიც დედა-მიწის მკვიდრთა უმრავლესობას შეადგენენ. ესენი უნდა განთავისუფლდენ მონობისაგან და უნდა განხორციელდეს მშვიდობა და თანასწორობა ყველა ადამიანთა შორის. ეს საერთაშორისო მდგომარეობის გარდაქმნა არის დასაწყისი ომისა, წმინდა სულიერი ომისა, რომელიც აღმოსავლეთის ზნეობრივი ცივილიზაციის წყალობით სწორ გზაზე დააყენებს და გამართავს დასავლეთის მატერიალისტურ ცივილიზაციას.»

ამ საქმის შესრულება განგებამ იაპონიას დააკისრა და უკანასკნელი კიდეც შეუდგა ამას. ამიტომ იყო, რომ დაეხმარა მანჯუკუოს ახალი სახელმწიფოს შესაქმნელად, გამოვიდა ნაციათა ლიგიდან და უარჰყო ვაშინგტონის საზღვაო ხელშეკრულობა. ამისთვისვე სჭირია იაპონიას ძლიერი, კარგად შეიარაღებული ჯარი.

ამ დიდს დანიშნულებას უნდა ეთანხმებოდეს იაპონიის პოლიტიკა ჩინეთში. მისი მიზანია ეროვნული ექსპანსიის გაგრძელება და ამავე დროს აზიის ერების განთავისუფლება თეთრი ტირანიისაგან, მოპოვება მათვის კეთილ მოწყობილი ცხოვრებისა და პატივისცემა მათი დამოუკიდებლობისა. ამრიგად დამყარდება ჩვენსა და ამ ერებს შორის თანხმობა და თანამშრომლობა, პირდაპირი განუკვეთელი ურთიერთობა პოლიტიკური, ეკონომიური და მილიტარული, რაიც სამუდამოდ დაუკავშირებს ამ ერებს იაპონიის იმპერიას.

ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობის მოწესრიგება არის პირველი საქმე იაპონიის დიდი დანიშნულების გზაზე. გამარჯვება თუ დამარცხება ჩინეთში არკვევს და საზღვრავს შემდეგი გეგმების განხორციელებას.

უნდა მივაქციოთ ყურადღება. თუ რამ წარმოშვა ის სენი, რომელიც აუძლურებს და ღუპავს ჩინეთს. მრავალი საუკუნის განმავლობაში ჩინელ ხალხს გამუდმებით ავიწროვებდენ და ჩაგრავდენ სახელმწიფოს მართველები, მსხვილი მემამულეები და პლუტოკრატები. ამ გაბატონებულ წრეებს არასოდეს შეუწუხებიათ თავი ხალხის გაჭირვების შესამსუბუქებლად. რესპუბლიკის დაწესების შემდეგ ახალი მჩაგვრელები გაჩნდენ—ომის ბატონები. ბოლო დროს ხალხის ძარცვა-გლეჯა კიდევ უფრო გაძლიერეს კუომინტანგის მილიტარისტებმა, რომელთა სათავეში გენერალი შიანგ კაი-შეკია, აგრეთვე შეკიანგის პროვინციის პლუტოკრატები. ეს სამხედრო პირები და ბანდიტები ერთი მეორეს მოსდევენ და ყოველგან გაჭირვებას და უწესოებას ამყარებენ. სოფლები განადგურდენ და გლეხებს ისღა დარჩენიათ მხოლოდ, რომ ან ყაჩაღებს შეუერთდენ ან კომუნისტებს.

უეჭველია, რომ ჩინეთის დღევანდელი უბედურების მთავარი პასუხისმგებელნი შიანგ კაი-შეკი და ნანკინგის მთავრობაა. ამათი საშინაო პოლიტიკაა ხალხის ძარცვა და ნგრევა, ხოლო საგარეო—ერთი სახელმწიფოს მეორეს საწინააღმდეგოდ დაპირისპირება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნანკინის მთავრობის მტრული დამოკიდებულება იაპონიასთან, რომელსაც ბევრი კარგი საქმე გაუკეთებია ჩინეთისათვის და რომლის წყალობით იყო, რომ ჩინეთი გადარჩა დანაწილებას. ამას ივიწყებენ ნანკინის მართველები, იაპონიის საქონელს ბოიკოტს უცხადებენ და ვერ მიმხვდარან იმას, რომ ჩინეთს უიაპონიოთ არსებობა არ შეუძლია. ჭეშმარიტად ამათგან არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან საღამომდის მტვერში გახვეული, ვიწრო, ბნელი ქუჩებით და ქუჩებში საშინელი ორმოებით, სადაც ღამის მგზავრი კისერს იტეხდა. მისი ცენტრი—მოედანი «თოფხანე»—შემოდგომიდან გაზაფხულამდე გაუვალი ჭაობი იყო. მოედნის ერთი კიდიდან მეორეზე მგზავრები «ამბალებს» ზურგით გადაყავდათ და ნიხრათაც ერთი ყრანი ედო. დღეს კი თეირანი მშვენიერი, კოპწია ევროპიული ქალაქია (400.000 მცხოვრებით) თავისი განათებით, ფართო, ასვალტით მოკირწყლულ ქუჩებით და ლამაზი, კოხტა ევროპიული სახლებით, სასტუმროებით, კაფე-რესტორანებით, კაბარეებით და მორთული კინოებით. აბა, რომელ ევროპიულ ქალაქის ქუჩებს ჩამოუვარდებიან—ისტამბული, ნადერი, იუსუპ-აბადის ხეივანი, ფირდოუსი და სხვები? «თოფხანე»—ეს ძველი «თოფხანე». აბა ვინ იცნობს მას დღეს, გალამაზებულს, ასფალტით შემოსილს და, მის შუაგულში, კოპწია ბაღით მოკაზმულს? თითქოს თეირანმა საუკუნო ძილიდან გამოიღვიძა, პირის სახე მოიბანა, თმები გადაივარცხნა და პატარძალივით მოიკაზმა!

განა მარტო თეირანი! მას მიყვება ისპაჰანი, ეს ირანის დიდების უკვდავი ძეგლი, შირაზი, ქამადანი, კუმი უძველეს სამლოცველოებით, კერმანშაჰი თავის ისტორიულ ძეგლებით; კოხტაობს მთელი მაზანდარანის და გილანის პროვინციები: უბრალო დაბები—სარი, შაჰი, აბასაბადი, და მრავალი სხვები, ქალაქებად იქცენ,—ახალ ცხოვრებას ხმა მისცეს და საერთო აღმშენებლობაში მტკიცედ ჩაებენ.

გარეგანი ცვალებადობა შეიქნა შედეგი შინაგან, სულიერ და სოციალურ ცვალებადობის. სპარსელს გასაქანი მიეცა, მის ნიჭს და უნარს ასპარეზი გაეხსნა. აღებ-მიცემობამ, ეკონომიურ აღორძინებამ მატერიალურ კმაყოფასთან ერთად სულიერი საზრდოც მოითხოვა. გუშინ სიბნელით და უვიცობით მოცული ქვეყანა დღეს სკოლებით და კულტურულ დაწესებულებებით იფინება. რომ ეს ლიტონ სიტყვებად არ ჩამომერთვას, ჩემს თავს ნებას მივცემ ზოგიერთი ფაქტები მოვიყვანო:

1925 წელს სპარსეთი განათლების საქმეში ხარჯავდა 7.731.380 ყრანს; ხოლო 1934 წ. განათლების ბიუჯეტი ავიდა—47.227.250 ყრ. ამრიგად 9 წლის განმავლობაში ბიუჯეტი შვიდჯერ გაზრდილა (ანგარიშია ოქროზე). მეორეს მხრივ, სკოლების რიცხვი 1925 წელს უდრიდა 1085-ს, 1934 წელს კი—4663-ს. აქეთან 3793 ვაჟების და 870 ქალების; ხოლო საერთო რიცხვი მოწაფეთი შეადგენდა—216.410-ს.

აგრეთვე საინტერესოა ქალთა ემანსიპაციის ზრდა კულტურულ დარგში: 1934 წელს ირანში ირიცხებოდა 10.410 მასწავლებელი; აქედან 7.305 მამაკაცი და 3.105 ქალი. ეს მაშინ, როდესაც 1912 წელს 1912 წელს 2.034 მასწავლებელზე მხოლოდ 50 ქალი მასწავლებელი მოდიოდა. მაშასადამე 22 წლის განმავლობაში ქალ მასწავლებელთა რიცხვი 62-ჯერ გაზრდილა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სკოლების და მასწავლებელთა რიცხვის სწრაფი ზრდა იწყება არა 1912 წლიოთან, არამედ 1925—27-დან, მაშინ ნათელი გახდება თუ რა ტემპით მიდის წინ ირანის კულტურული აღორძინება. ირანში არსებობს ერთი უნივერსიტეტი და ერთიც სასულიერო აკადემია.

შემცდარი იქნებოდა, თუ ვიფიქრებთ, რომ ირანი მარტო ადგილობრივი სასწავლებლებით კმაყოფილდება. ყოველ წლიურად, მთავრობის ხარჯზე, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში იგზავნება 500-მდე ახალგაზდა სპეციალურ ცოდნის შესაძენად და საკუთარ ქვეყანაში ევროპიულ განათლების და ტექნიკის შესატანათ.

ამრიგად, სწავლა-განათლებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და მის სათავეშიაც ღირსეული პირი დგას მინისტრ ჰეკმეტის სახით, რომლის ენერგიას და ორგანიზაციულ ნიჭს მიეწერება ასეთი სწრაფი და ნაყოფიერი წარმატება სწავლა-განათლების საქმეში...

ერთი სიტყვით, ძველი სპარსეთი ახალ ირანად დუღდება; იქმნება ახალი ერი, ახალი მისწრაფებებით და გარკვეული პერსპექტივებით. ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებასთან ერთად ახლდება და იღვიძებს ძველი ირანის მხედრული ნიჭი. გუშინ ყველასაგან აბუჩად აგდებული სპარსეთი; ევროპაში და ახლო აზიაში ვაჭრუკანად ცნობილი—დღეს მეორმრის ჩაჩქანში ჯდება. დიდი ხანი არ არის რაც საძირკველი ჩაეყარა ირანის ახალგაზდა ჯარს და ის დღეს საგრძნობ ძალას წარმოადგენს ევროპიულ მომზადებით და გაწვრთნით. ჯარში სამსახური სავალდებულოა ირანის მოქალაქისათვის. სპარსელი ეხლა ჰაერშიაც ისე თავისუფლად დანავარდობს, როგორც მის კლდე-ხრიოკიან მიდამოებში. და რაც მთავარია ირანის ფოლადის არწივებს არა ევროპიელები მართავენ, არამედ თითონ სპარსელი მფრინავები. ირანის საჰაერო ფლოტი და ჯარი სპარსეთის ღვიძლი შვილია, ხალხი იმაში თავის მხსნელს და დამცველს ხედავს, ამიტომაც მთელი ერი მითი ამაყობს.

ყველაფერი ეს ათი წლის ამბავია და მერე რა მდიდარი შედეგებით და ეფექტებით!

Х. Х.

ვარშავა.

ემიგრანტულ პრესის მიმართულებათა შესახებ

ქართულ ემიგრანტულ პრესის ზოგიერთ ორგანოებში უკანასკნელ დროს ყურადღებას იქცევს ერთნაირი მიმართულება, რომელსაც თითქოს მიზნად დაუსახავს განსაკუთრებულად ძებნა და აღნიშვნა უარყოფითი მოვლენების საქართველოს დამოუკიდებლობის ხანისა. ავტორები თითქოს ხელმძღვანელობენ სრულიად სწორი მოსაზრებით, ე. ი. რომ საკუთარი შეცდომების შესწავლა საუკეთესო ჯკუის მასწავლებელია.

ისინი ამბობენ, საჭიროა ხალხს ჩაუნერგოთ რწმენა, რომ დავემორჩილეთ მტერს არა იმიტომ, რომ ძალა მის მხარეზე იყო, არამედ და უპირველესად ყოვლისა მხოლოდ ჩვენი საკუთარი სისუსტის გამო. უნდა შეეგანებიოთ, მიუხედავად იმისა რომ

ანგ კაი-შეკი თითქოს ებრძვის. მაგრამ ნანკინგის ბრძოლა წითლების წინააღმდეგ ყოველთვის უნაყოფო იქნება, რადგან ბოლშევიზანები მოკალთებული არიან თვით კუომიტანგის პარტიაში და შიანგ კაი-შეკის და მის მიმყოლთა მეთოდი, მოქმედება, ორგანიზაცია არაფერში განირჩევა კომუნისტურისაგან. კომუნიზმი მოისპობა ჩინეთში მხოლოდ მაშინ, როცა შეიცვლება ადმინისტრაცია და გაუმჯობესდება ხალხის მდგომარეობა. რუსეთის ბოლშევიკები ეხმარებიან ჩინელ კომუნისტებს და ცდილობენ გამოიყენონ ისინი ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად. ისიც უდავოა, რომ ნანკინგი ფარულ მოლაპარაკებას აწარმოებს მოსკოვთან...

ამგვარად ვიდრე შიანგ კაი-შეკი და მისი დამქაშნი ბატონობენ ჩინეთში, შეუძლებელია რაიმე მეგობრული ურთიერთობა იაპონიასთან იმ ტერიტორიისა, რომელიც მათ ექვემდებარება. გამოსავალი ერთია: ჩვენ სამოთხე უნდა მოვაწყოთ ნანკინის გავლენის ზონის გარეშე და ნელ-ნელა ისე უნდა განვავითაროთ და წარვმართოთ იგი, რომ მისმა მაგალითმა აზრი შეაცვლევინოს დანარჩენს ჩინეთს. ჩინეთის ჩრდილოეთია ის ადგილი, სადაც უნდა დამკვიდრდეს ეს სამოთხე და სადაც ჩინელების და იაპონელების თანხმობამ, თანამშრომლობამ, ერთმანეთის დახმარებამ ორთავე მხარეს დიდი სარგებლობა უნდა მოუტანოს. იაპონიის, მანჯუკუოს და ჩრდილო ჩინეთის მტკიცე ბლოკი დაამყარებს მშვიდობიანობას შორეულ აღმოსავლეთში.

დასასრულ გენერალი ტადა იგონებს იაპონიის შეცდომებს შორეულ და ახლობელ წარსულში (ციგ-ტაოს აღება 1914 წ. და ციმბირის ექსპედიცია 1918 წ.) და ამბობს: «თუ დღევანდელი ექსპანსია, როგორც მანჯუკუოს დაარსება და ჩინეთის განვითარება ჩაიფუშა, არამც თუ უნდა წავიდეთ კონტინენტიდან, არამედ დაისმება საკითხი მთელი ჩვენი ერის ბედისა». ჩვენი სახელმძღვანელო დებულება უნდა იყოს: უნდა გვქონდეს გაბედული გონიერება, რომელიც წინ მიდის, რაც უნდა დაბრკოლება შეხვდეს; ჩვენ ვერ მივაღწევთ იაპონიის და ჩინეთის თანაარსებობის და წარმატების განხორციელებას, თუ უწინარეს ყოვლისა არ აღვიჭურვეთ შეწყალების დიდ-სულოვნობით და არ ვიქნებით უმწიკვლონი; ყურადღებას არ უნდა ვაქცევდეთ უშუალო, სადღეისო სარგებლობას და არ ვიმოქმედოთ მეტად აჩქარებით, გავყვეთ არჩეულ გზას ნელ-ნელა.

იაპონელებს უნდა გვქონდეს სამი სათნოება: სამართალი, მოთმინება და სიმხნევე.

წერილი ამერიკიდან

«ან მოსკოვი ან ვაშინგტონი უნდა იყოს სატახტო ქალაქი ჩვენი მთავრობისა; ან კომუნიზმი ან ინდივიდუალიზმი უნდა იყოს ეკონომიური საძირკველი ჩვენი ქვეყნისა; ან ბინძური, სულთამხუთავი ჰაერის სუნთქვა კომუნისტურ რუსეთისა ან წმინდა სიო თავისუფალ ამერიკისა; ან ჩვენი ვარსკვლავიანი თავისუფალი დროშა ან ულვთო წითელი ბაირაღი საბჭოებისა»-ო...

ასე გაათავა პრეზიდენტ რუზველტის და მისი რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული სიტყვა დემოკრატების პარტიის ძველმა ბელადმა ალფრედ სმითმა 25 იანვარს ვაშინგტონში, «ამერიკის თავისუფლების ლიგა»-ს ბანკეტზე, რომელსაც დაესწრო სამი ათასამდე წევრი ამ საზოგადოებისა და რომლის რადიოაუდენცია მილიონებმა მოისმინეს.

ასეთი ალტერნატივა, რასაკვირველია, მეტად გადაჭარბებულია. ამერიკას არავითარი გაკომუნისტება არ მოელის არც ზევიდან (მთავრობისაგან) და არც ქვევიდან. მაგრამ ეს იყო სმითის მოქნილი გალაშქრება პრეზიდენტ რუზველტის გაბედულ ექსპერიმენტების წინააღმდეგ. მართალია, სამი წლის წინედ პრეზიდენტი «გაეთამაშა», კომერციული ანგარიშებით, კრემლის მართველებს, მაგრამ უკანასკნელებმა, როგორც სხვაგანაც, აქაც «მეგობრობა» ვერ გაიტანეს და დღეს გარიყულნი არიან...

გუბერნატორ სმითის საკაზმი მიმართული იყო პრეზიდენტის შინაური ეკონომიური მოქმედების წინააღმდეგ. სმითი პრეზიდენტს აბრალებს შეერთებულ შტატების კონსტიტუციის დარღვევას, შტატების უფლებების უზურპაციას, უკანონო ექსპერიმენტების ცდას, დემოკრატების პარტიის პლატფორმიდან გადადგომას; გასოციალისტებას; დაქირავებულთა და დამქირავებელთა ერთმანეთზე გადაკიდებას და სხ... რამდენიმე თვემ გაიარა, რაც მთელი შეერთებულ შტატების საზოგადოება დიდი ინტერესით მოელოდა ამ ბანკეტს და მისი სულის ჩამდგმელის ა. სმითის სიტყვას, რომლის შინაარსი არავინ იცოდა, მხოლოდ ფიქრობდენ, რომ მთავრობის საწინააღმდეგო იქნებოდა.

რატომ იყო ეს მოვლენა ასეთი საყურადღებო? იმიტომ რომ—ამბობენ: სმითის გამოსვლა პრეზიდენტ რუზველტს დაამარცხებს დემოკრატების მომავალ ივნისის კონფერენციაზეო და თუ იქ გავიდა, მომავალ ნოემბერში პრეზიდენტადაც გავაო. უმრავლესობა არ მოელოდა კიდევ, რომ ორი დიდი ძველი მეგობარი და დემოკრატიული პარტიის ბურჯები ერთმანეთს დაუპირდაპირდებოდენ, რადგან წლების განმავლობაში ორივე ერთმანეთის დამხმარენი იყვნენ. სმითი ასახელებდა რუზველტს საპასუხისგებო თანამდებობაზე და გაყავდა: ნიუორკის შტატის სენატში, ნიუორკის შტატის გუბერნატორად და სხვა. სამაგიეროდ რუზველტმა სამჯერ წამოაყენა სმითი დემოკრატების კონფერენციებზე საპრეზიდენტო კანდიდატად. უკანასკნელად 1928-ში რუზველტმა სმითი კიდევაც გაიყვანა, მაგრამ რესპუბლიკანელების კანდიდატმა ჰერბერტ ჰუვერმა არჩევნებში დაამარცხა...

ღარიბი ოჯახიდან გამოსული, გაზეთ-ჟურნალების ქუჩაში გამყიდველი, მხოლოდ დაბალ სასულიერო სკოლა დამთავრებული, სმითი ადრე იჩენს თავის ნიჭს პოლიტიკაში. ის ადრე ხდება ნიუორკის შტატის პალატაში წარმომადგენელად, პარტიის ბელადად და ბოლოს ოთხჯერ ირჩევენ ნიუორკის შტატის გუბერნატორად (ამ თანამდებობაზე ის ლიბერალად და კარგ გუბერნატორად ითვლებოდა), სანამ თვითონ არ დაანება თავი და ფრანკლინ რუზ-

ველტს, ახლანდელ პრეზიდენტს, არ «დაუთმო». საერთოდ სმითი ეფექტიანი მოლაპარაკეა, მაგრამ მისი სიტყვა დიდ შინაარსს მოკლებულია. 25 იანვრის ბანკეტზე ის კარგი კრიტიკოსი იყო. «მე არა ვარ ასპირანტი და კანდიდატი არავითარი ოფისისა», დაიწყო მან: «მე არა მაქვს არაფერი საწინააღმდეგო პირადად არც ერთი პიროვნებისა შეერთებულ შტატებში... მაგრამ არავის მივცემ ნებას, რომ ჩასწიხლოს ჩვენი ქვეყნის კონსტიტუცია და დემოკრატების პარტიის პლატფორმა»-ო... მერე აიღო ამ პარტიის მიერ 1932 წლის კონფერენციაზე მიღებული პლატფორმა, როდესაც ფ. რუზველტი საპრეზიდენტო კანდიდატად იყო ამორჩეული, და მუხლ მუხლად გაარჩია და პრეზიდენტის მოქმედებას დაუპირდაპირა...

მისი სიტყვა, მოკლედ თუ ვრცლად, ყველა გაზეთებში დაიბეჭდა და ყველამ კომენტარიები გაუკეთა. თითქმის ყველა უპარტიო და სმითის მოწინააღმდეგე რესპუბლიკანელების გაზეთებიც მის სიტყვას აქებენ. «სმითმა სთქვა, რასაც მილიონები ფიქრობენ»-ო. ოემოკრატების გაზეთები კი თითქმის შვაში გაიყო. შესაძლებელია უმრავლესობა პრეზიდენტის მომხრე იყოს. დემოკრატების ცნობილი «ნიუორკის ტაიმსი», საერთოდ მთავრობის მხარის დამჭერი, თავის მოწინავე წერილში ამბობს, რომ ა. სმითმა დიდი ზიანი მიაყენა პრეზიდენტს და მის რეჟიმსო. სმითის ოპოზიცია ბევრ თეთრ თმას გაურევს მთავრობის დამცველებსო.

სამი კვირის წინ ბანკეტზე გამოსვლამდე, სმითი რუზველტმა სადილზე მიიპატიჟა, მაგრამ სმითმა უარი შეუთვალა. ეს ინციდენტი იმის მომასწავებელი იყო, რომ სმითი პრეზიდენტის წინააღმდეგ გაილაშქრებდა. მაშინათვე მის მოპასუხედ დემოკრატების კონგრესის ლიდერი იოსებ რობინსონი იქნა არჩეული, რომელმაც 29 იანვარს საღამოს რადიოს საშვალებით სმითის სიტყვას უპასუხა. ი. რობინსონი თავის დალაგებულ (გაზეთის ცნობით, პრეზ. რუზველტის მდივნის მიერ დაწერილ) სიტყვაში სმითის სხვადასხვა დროს წარმოთქმულ სიტყვებიდან ამტკიცებდა, რომ ის, სმითი, თავის სიცოცხლეში იმ პრინციპებზე იდგა, რომელსაც ახლა პრეზიდენტი რუზველტი ემსახურება. და სმითმა კი ახლა მდიდარ მრეწველთა გავლენით ამ პრინციპებს თვითონ გადაუხვიაო... რასაკვირველია, ნაწილი სიმართლისა ორივეს განცხადებაშია, მაგრამ სმითის მიერ მოხდენილი ეფექტი უკვე დაწყებულ საპრეზიდენტო კამპანიაში როლს ითამაშებს. უკვე ცხადია, რომ პრეზიდენტი რუზველტი ყოველივე ღონით შეეცდება, ისევ აირჩიონ. ეს საპრეზიდენტო კამპანია თვით პრეზიდენტმა დაიწყო სამ იანვარს, როცა კონგრესი (სენატი და ქვედა პალატის წარმომადგენლები) მოწვეულ იქნა არაჩვეულებრივათ ერთად და ისეც საღამოს, რომ პრეზიდენტის მისამართი სიტყვა რადიოს საშვალებით მთელ ერს მოესმინა. შეერთებულ შტატების ისტორიაში ეს მომხდარა მხოლოდ ერთჯერ, როცა პრეზიდენტმა ვილსონმა მოიწვია კონგრესი საღამოს და როცა ომი გამოეცხადა გერმანიას...

პრეზიდენტ რუზველტის მოწინააღმდეგედ ბევრი კანდიდატი გამოჩნდება იმავე დემოკრატების პარტიიდან, რომ, როგორც სმითმა თქვა, «შეაჩერონ» პრეზიდენტი. ჯერჯერობით ასეთია გეორგიის შტატის გუბერნატორი ევგენი ტალმაგი, პრეზიდენტის «ახალ რეჟიმის» მტერი.

აქაურ წესით ამ დიდი თანამდებობის ასპირანტი ადრე გამოყავთ მის მეგობრებს პოლიტიკურ სცენაზე და საშვალებას აძლევენ, თავი გააცნოს ქვეყანას კონფერენციის მოწვევამდე, სადაც ყწდება კანდიდატების ბედი. ყველა შტატიდან პარტიული დელეგატები ჩამოდიან დანიშნულ ქალაქში (ამწელს დემოკრატების კრება არის ივნისში ქალაქ ფილადელფიაში და რესპუბლიკანების—ივლისში ქალაქ კლივდანში), სადაც რვაასამდე დელეგატი ასახელებს და კენჭს უყრის კანდიდატებს, სანამ ვინმე არ მიიღებს დამსწრეთა ხმის ორ მესამედს...

რესპუბლიკანებიც ემზადებიან დიდი ენერგიით მომავალ ნოემბრისთვის, ფიქრობენ, რომ მათ კარგი შანსი აქვთ ამ წელს მოუგონ დემოკრატებს (სხვა პარტიებზე არ ვლაპარაკობთ, რადგან დიდი პოლიტიკური წონა არა აქვთ არჩევნებში). 28 იანვარს პოლიტიკაში ცნობილმა ძველმა სენატორმა ვილიამ ბორამ (70 წლისაა) თავის საარჩევნო სიტყვით, როგორც ამერიკელები იტყვიან, «ქუდი ჩააგდო» საკამპანიო არენაში. ეს მემარცხენე რესპუბლიკანელია, პოპულიარული როგორც სენატორი, მაგრამ საეჭვოა, რესპუბლიკანელების კონფერენციაზე გავიდეს. მას მოყვა კოლონელი ფრანკი ნოქსი, ჩიკაგოში გაზეთის გამომცემელი, პოლიტიკაში არა ახალი... უფრო საყურადღებოდ ითვლება ზომიერი რესპუბლიკანელი კანსას შტატის გუბერნატორი ალფრედ ლანდონი. მან თავი გაითქვა თავის შტატის ბიუჯეტის მოწესრიგებით, რაც ახლანდელ დროში არა ხშირია...

ვფიქრობთ, ეს მოკლეთ თვალის გადავლება ამერიკის პოლიტიკისა მეტი არ იქნება, რადგან დღეიდან პრეზიდენტის არჩევამდი მკითხველი ხშირათ დაინახავს პრესაში აქ მოხსენებულ სახელებს და ამ ორ დიდ პარტიათა (დემოკრატების და რესპუბლიკანელების) ბრძოლას...

საყურადღებოა კიდევ ერთი მოვლენა ამერიკის პოლიტიკურ ეკონომიურ მდგომარეობის, როგორც შედეგი დეპრესიისა. ეს არის ექიმ ტოუზენდის «მოხუცებულთა პენსია».

ეს «პროგრამა» ნამეტანი მარტივია, ჯერ-ჯერობით, მხოლოდ ორი მუხლი აქვს (ამიტომ ზოგი კითხვა გამოურკვეველია): პირველი—ყოველ პიროვნებას, ვინც სამოცი წლისაა და მეტის, მიეცეს თვიურად ორასი დოლარი იმ ვალდებულობით, რომ ეს ფული ყოველთვეს დახარჯოს. მეორე—მთავრობამ ამ ფულის მისაღებათ, რომელიც ოცდახუთ მილიარდამდე აღწევს წლიურად, ორი პროცენტი გადასახადი დაადოს ყოველ ფინანსიურ ტრანსაქციას.

ფრანცისი ტოუზენდი არის ყოფილი სოფლის ექიმი 67 წლისა, წყნარი, თავდადებული და პირად პოლიტიკურ ამბიციებს მოკლებული. ის თავის სიცოცხლეში დაუღალავად მუშაობდა, სიბერისთვის

ცოტა შეინახა, მაგრამ ეს ქონება 1929-ში, როგორც ბევრ სხვას, მასაც დაეკარგა. მან იფიქრა: «რა უსამართლობაა, მთელი სიცოცხლე მუშაობ, მთელ ძალღონეს საზოგადოებას შესწირავ და ბოლოს არაფერი გაგაჩნია, ან იშოვნი და დაგეკარგება. ამას სჯობია ყოველი ხანში შესული პიროვნება იყოს სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი»-ო.. ალბათ, ეს აზრი არა ერთს და ათასს მოსვლია თავში, მაგრამ მხოლოდ ექიმმა ტოუზენდმა თქვა ეს ხმამაღლა და ფანატიკოსური ენერგიით თავის აზრის განხორციელებას შეუდგა. დასწერა პატარა წიგნი, რომელიც 25 სენტად გაყიდა. აქედან აღებული და ნასესხი ფული ისევ ამ აზრის პროპაგანდას მოახმარა. თან დამხმარენი გამოუჩნდა და დღეს, ამ სულ მოკლე ხანში, მის მიმდევრად ითვლება ხუთი ათასზე მეტი კლუბი ათ მილიონ წევრით და რამოდენიმე ასი ათასი დოლარის ფონდით. დღეს ექიმ ტოუზენდის ოფისი თვით ვაშინგტონშია და მისი მიმდევრებისა ყოველ დიდ ქალაქებში. ზოგიერთ შტატებში მისი პლატფორმით წარმომადგენელნიც არიან არჩეულნი. თვით კონგრესის წევრებს შეკითხვები დაეგზავნა—მომხრე ხართ ამ გეგმისა თუ არაო...

რასაკვირველია, ამას ბევრი მოწინააღმდეგე ყავს: ეს ყოვლად ფანტასტიურია, მთელი ეკონომიურ-ფინანსიურ აპარატს ძირიანფესვიანად გადააბრუნებს და დაამსხვრევსო...

ასე თუ ისე, ეს მოვლენა უკვალოდ არ გაივლის. ბევრი «დიდი» კანდიდატი იძულებულია ანგარიში გაუწიოს. მაგალითად, სენატორ ბორამ თავის «საპრეზიდენტო» სიტყვაში განაცხადა, რომ ექიმ ტოუზენდის 200 დოლარი თვეში ნამეტანია, მაგრამ მე მომხრე ვარ სამოცისაო...

სამი თებერვლის აქაურ გაზეთებში პირველ გვერდზე მოთავსდა ცნობა ლონდონიდან, რომ საბჭოების საგარეო კომისარს მაქსიმე ლიტვინოვს საჯაყი საქმე დაემართაო: საერთოდ მიღებულია წესი, რომ მეფის ნაამბობი საიდუმლოდ უნდა დაიცვა. ლიტვინოვმა კი ქვეყანას ამცნო, რასაც ედუარდ მერვე ელაპარაკაო. ამან ინგლისელები ძალიან გააჯავრაო. თურმე სხვათა შორის მეფეს უკითხავს, რატომ იყო საჭირო რუსეთში რევოლუციის მოხდენაო, რატომ მოკალით მეფეო და სხვა. ლიტვინოვს ამ ცნობის განცხადებას ისიც დაუმატია, რომ ახალი მეფე «მედიოკრი» (სამვალო) ახალგაზდა ინგლისელი ყოფილა, რომელიც მხოლოდ ერთ გაზეთის ცნობით იკვებებაო... ასეთი მოქცევა კომისარისა «ნიუორკის ტაიმსის» ცნობით, ბევრს ვერ დაეხმარება საგარეო მინისტრ ედენს, რომელიც ცდილობს, რუსეთი თავის მხარეზე იყოლიოს გერმანიის საწინააღმდეგოთო, რადგან ამ ცდას ინგლისის ზოგიერთი წრეები მხარს არ უჭერენო...

ამ დღეებში აგრეთვე ცნობები იყო, რომ მეფე ედუარდმა ხაზგასმით ყველაზე მეტი ყურადღება გერმანიის საგარეო მინისტრს კონსტანტინე ფონ ნეირატს მიაქცია და ესაუბრაო. განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო, ეს რადგან სხვები უყურებდენ და თავის ჯერს უცდიდენო...

ნაური.

ქართველთა დღესასწაული შორეულ აღმოსავლეთში

ხარბინელი ქართველები დღესასწაულობენ «ქართველთა საზოგადოების» არსებობის ოცდაათი წლის თავს. აღსანიშნავი დღეა და დარწმუნებული ვართ, ყოველი ქართველი, სადაც უნდა იყოს იგი, სიხარულით მიეგებება ხარბინის მოძმეთა დღესასწაულს.

უცხოეთში ჩვენ არსად მოგვეპოვება ისეთი ძლიერი და მტკიცე ორგანიზაცია, როგორიც შეჰქმნეს ქართველებმა შორეულ აღმოსავლეთში. ხარბინის «ქართველთა საზოგადოება» ღონიერია ქონებრივად და ეს ქონება მან შეიძინა არა ვისიმე ქველმოქმედების წყალობით, არამედ ყველას ერთსულოვანი დახმარებით და მუშაობით. «საზოგადოება» ფართოდ აწარმოებს ეროვნულ კულტურულ-განმანათლებელ მოღვაწეობას—და ქართული სკოლის, სამკითხველოს, მოხსენებების, საღამოების სახით მხნედ იცავს ქართველობას გადაგვარებისაგან, აღვიძებს და აძლიერებს ეროვნულ შეგნებას, აცნობს უცხოელთ ქართველის სახეს. იგი ამავე დროს საქართველოს პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ ინტერესებსაც ემსახურება და ყოველთვის და ყველასთან მაღლა აქვს ამართული ქართველი ერის დამოუკიდებლობის დროშა. იგი არასოდეს ივიწყებს თავის ძვირფას სამშობლოს და მთელი მისი სული და გული მარად მასთანაა...

ჩვენი რედაქცია მხურვალე სალამს მიუძღვნის მანჯუკუოს ქართველობას და გულითადად უსურვებს მათ «საზოგადოებას»—მტკიცედ განაგრძოს თავისი ღირსეული მოღვაწეობა, უფრო გაფართოვდეს, განვითარდეს იქაურ ქართველობის საკეთილდღეოდ და კვლავინდებურად ერთგულად ემსახუროს ეროვნულ წმინდა საქმეს.

საქართველოს საკითხი

იმ კამათის გამო, რომელიც დღეს სწარმოებს საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში რუსეთ-საფრანგეთის პაქტის დამტკიცების გარშემო, ჟურნალი «Gringoire» მოიგონებს, თუ როგორ ვერაგულად მოეპყრა რუსეთი საქართველოს, როგორ ხელშეკრულება დასდვა მასთან და მერე თავს დაესხა, გაიხსენებს იმასაც, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა იცვნეს ალიებმა—საფრანგეთმა, ინგლისმა, იტალიამ, იაპონიამ და ბელგიამ. აგრეთვე იმასაც, თუ როგორ ერთსულოვნად და ენერგიულად იცავდენ ყოველთვის საქართველოს რესპუბლიკის სუვერენობას საფრანგეთის მთავრობანი. აღნიშნავს განსაკუთრებით ჰერიოს სიტყვებს, რომელმაც 1922 წ. მოსთხოვა პუანკარეს, რათა საფრანგეთის მთავრობამ ყოველთვის იმოქმედოს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვისო.

ბოლოს «Gringoire» ასე ათავებს წერილს: «1924 წ. 28 ოქტომბერს საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარემ ჰერიომ იცნო მოსკოვის მთავრობა, ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დაივიწყა, რომ არ შელახულიყო ვალდებულება საქართველოს მიმართ. ქართველ ერს არ მიუღია და არც როდისმე მიიღებს საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც დაარღვია ხელშეკრულობა და ძალით დაიკავა საქართველოს ტერიტორია. ვიდრე რუსეთ-საფრანგეთის პაქტს დაამტკიცებდენ, დეპუტატები საფრანგეთისა, რომლებიც ყოველთვის ტრადიციული დამცველები იყვნენ ჩაგრულ ერებისა, ვალდებულნი არიან მოსთხოვონ მოსკოვს—მზადაა თუ არა გაიყვანოს თავის ჯარი საქართველოდან ან ყოველ შემთხვევაში მისცეს ქართველ ერს ნება თავისუფლად გამოსთქვას თავისი აზრი ერთა ლიგის კანტროლის ქვეშ, იმ ერთა ლიგის, სადაც ლიტვინოვი ასე მხურვალედ ექომაგება აბისინიას.

რას ჰფიქრობს ამის შესახებ ჰერიო?»

ჩვენ უკვე ვიცით, თუ რას ჰფიქრობს ჰერიო. იმან თავგამოდებულად დაიცვა პალატაში საბჭოთა მთავრობა და გაამართლა ყოველი მისი მოქმედება.

ქართველ მანდილოსანთა კეთილი საქმე

ორიოდე კვირაა მას შემდეგ რაც ქართველმა მანდილოსნებმა ბოლოს და ბოლოს განახორციელეს, რაც ყოველ ემიგრანტის პირველი საქმე უნდა ყოფილიყო აქ—უცხოეთში: მათ დაარსეს ქართული კერა, სადაც ქართველი პატარა ბავშვები ისწავლიან ქართულ ენას, მოზრდილები კი გაეცნობიან სამშობლოს, მის ისტორიას, ლიტერატურას, გაეცნობიან ჩვენი სამშობლოს ბუნების სიუხვეს და სილამაზეს და შეიყვარებენ მას შესაფერად. უკვე დაწყებულია მუშაობა, მაგრამ სამწუხაროდ ჯერჯერობით ძლიერ ცოტა ესწრება გაკვეთილებს. მართალია ყველა ჩვენგანი გაჭირვებას განვიცდით, არავის გვაქვს დრო და შესაძლებლობა, მაგრამ რაა ეს ხელმოკლეობა და გაჭირვება იმასთან შედარებით, როდესაც ქართველ ბავშვებს უფროსებისავე წყალობით ავიწყდებათ სამშობლო, დედა-ენა და ყოველივე ქართული.

თუთხმეტი წლის განმავლობაში ურთიერთშორის კინკლაობაში და გაუტანლობაში ჩვენ მამაკაცებს თითქმის დაგვავიწყდა, რომ არსებობს რაღაც საერთო ჩვენი შემაკავშირებელი და ჩვენი გამაერთიანებელი—ესაა ქართველი ახალგაზდობა, ქართული კერა. და აი ეხლა ჩვენი მანდილოსნები შეეცადენ ამ ჩვენი დანაშაულის გამოსწორებას. ჩვენი მოვალეობაა, ყოველნაირად დავეხმაროთ ჩვენ ქალებს ამ წმინდა საქმეში და მატერიალურად თუ მორალურად გავამხნევოთ. მივმართავთ ყველა ქართველ ოჯახს, რათა სერიოზულათ მოეკიდნენ ამ საქმეს და თავის წმინდა მოვალეობად ჩასთვალონ, კვირაში ორჯერ აუცილებლად მიიყვანონ ბავშვები ქართული კერაში, რომ ისწავლონ მშობლიური ენა, შეიგნონ ქართველობა, შეიყვარონ საქართველო.

მშობელთა ერთი ჯგუფი.

საყურადღებოდ

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი ერის ლტოლვილები საფრანგეთში არ სარგებლობენ ისეთს პატივსა და ყურადღებას, როგორსაც ჩვენი ლტოლვილები; ეს ალბათ იმითაც აიხსნება, ნაწილობრივათ, რომ ჩვენ, დღეს დღეობით, აქ მეტი მფარველი და დამცველი არა გვყავს. ასევე დანამდვილებით შეიძლება ითქვას ისიც, რომ ასეთ ყურადღებას და პატივს ჯეროვანად ვერ ვაფასებთ და ხშირად ისეთ გამოსვლებს ვახდენთ, სამწუხაროდ, რაც აქაურ წესს, კანონებს და ჩვეულებებს ეწინააღმდეგება. ამგვარი მეტად არასასიამოვნო მოვლენა იწვევს დიდ უკმაყოფილებას აქაურ ხელისუფლების ორგანოებში და ეს უკმაყოფილება იმდენად გაიზარდა ამ ბოლო დროს, რომ ქართველ ლტოლვილთა ინტერესების დაცვა მეტის მეტად ძნელი შეიქმნა და მალე შეიძლება ისეთსაც ვეღარ დავეხმაროთ, რომელსაც არაფერი ბრალი აქვს, მაგრამ საკმარისი არის, რომ ის ქართველია, საბედნიეროთ რასაც ზევით ვსწერთ, ეხება კალონიის დიდ უმცირესობას, მაგრამ აქაური ხელისუფლება იმით მსჯელობს, რასაც ხედავს. და ხედავს კი ბევრ არა სასურველ ფაქტს. თუ სხვას ვერაფერს ვაკეთებთ საქართველოსათვის, იმას მაინც ნუ ვიზამთ, რომ მას სახელი გაუტეხოთ ჩვენი შეუფერებელი გამოსვლებით და მასთან ერთად ფეხქვეშ გავთელოთ ფრანგთა თანაგრძნობაც და სტუმართმოყვარეობაც...

მივმართავთ კალონიის წევრებს და ვსთხოვთ, რომ ერთი წამითაც ნუ დაივიწყებენ იმ უაღრესად დიდ მოვალეობას, რომელიც მათ აწევთ, ე. ი. პატივისცემა და მორჩილება იმ ქვეყნის კანონებისა და ტრადიციებისა, რომელმაც მიგვიღო და ყურადღებით გვეპყრობა. წინაამდეგ შემთხვევაში «ქართველი» და «არასასურველი»—სინონიმი გახდება, რაც დიდად შეუშლის ხელს ოფისს თუ კალონიის სხვა ორგანოს დაიცვან ინტერესები ქართველი ლტოლვილებისა.

ოფისის დირექტორი ს. ასათიანი.

ქართველები ამერიკაში

თვეზე მეტია, რაც ერთ ნიუიორკის დიდ რადიო სადგურში ქართველ ქალის ქმარი უკრაინელი ბ-ნ დიმიტრი კორნიენკო თავის მშვენიერი ორკესტრით მართავს ყოველ კვირა ნასადილევს კონცერტებს «ორიენტალურ მუსიკის» სათაურით. სხვათა შორის ქართულ ნუმრებსაც ასრულებს, მოკლე მოხსენების წარძღვნით საქართველოსა და მის მუსიკაზე.

რადგან ეს კულტურული მისი მუშაობა მეტად საყურადღებოა და ხელის შეწყობის ღირსია, და რადგან ქართულ მუსიკის რეპერტუარი მას ცოტა აქვს,—ვთხოვთ მკითხველს, ვისაც შეუძლია: მოგვყიდოს, ან გვათხოვოს, ან გვაცნობოს სად იშოვება ქართული ნოტები. დიდად მადლობელი დავრჩებით.

მისამართი «დამ. საქ.»—«ნაური»-ს გადასაცემად.

ნაური.

ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა ასოციაციის კრება

16 თებერვალს შესდგა პარიზში მცხოვრებ ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა ასოციაციის წლიური კრება; კრებას დაესწრო 17 წევრი. მოსმენილ იქნა შემდეგი საკითხები:

1. გასული წლის ანგარიში.
2. შოთა რუსთაველის საიუბილეო წლის თავის მოწყობა და
3. ახალი გამგეობის არჩევნები.

ასოციაციის თავმჯდომარის (გ. გვაზავას) მოხსენებიდან გამოირკვა, რომ დღემდე ასოციაციას ვერ გამოუჩენია ჯეროვანი აქტიობა; საანგარიშო წლის განმავლობაში მას გაუმართავს მხოლოდ ერთი დილა ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების დღიდან 20 წლის თავის აღსანიშნავათ. წევრებიც მეტად გულგრილად ყოფილან განწყობილნი ასოციაციის მიმართ, ბევრს მათგანს საწევრო ფულიც არ გადაუხდია.

მოხსენების შემდეგ გაიმართა მსჯელობა შესახებ ასოციაციის მოღვაწეობისა. კრებამ ერთხმად დაადგინა დაევალოს ახალ გამგეობას მოაწყოს მოხსენებები ქართულ ძველ და ახალ ლიტერატურაზე, ისტორიაზე და ხელოვნებაზე, გამართოს ლიტერატურული გასამართლებები და იზრუნოს ქართული ბიბლიოთეკის მოწყობისთვის.

წევრებს დაურიგდება ახალი საწევრო ბარათები ერთი წლის ვადით (ვისაც საწევრო ფული არა აქვს ვადახდილი, იგი თანახმად წესდებისა ავტომატიურად კარგავს წევრობის უფლებას). ახალი წევრების მიღება ხდება გამგეობის დადგენილებით.

კრებამ გამგეობას დაავალა შექნას განსაკუთრებული კომისია, რომელიც გამგეობასთან ერთად შეიმუშავებს შოთა რუსთაველის გადაცვალებიდან 750 წლის თავის აღსანიშნავ დღესასწაულის გეგმას და შესაფერისად მოაწყობს თვით დღესასწაულს.

დასასრულ ფარული კენჭის ყრით არჩეულ იქმნა გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: გ. გვაზავა (თავმჯდომარე), ი. ზურაბიშვილი, ი. ჯავჯანიძე, ა. მანველიშვილი და ს. ბერეჟიანი.

X.

ქართველები საფრანგეთში

2 თებერვალს შესდგა საფრანგეთში მყოფ ქართველთა საზოგადოების კრება, რომელმაც აირჩია ოფისის საბჭო (ბ.ბ. აკ. ჩხენკელი, ზ. ავალიშვილი და დ. სხირტლაძე) და განიხილა და დაამტკიცა გამგეობის და სარევიზიო კომისიის ანგარიშები. კრებამ კვლავ აირჩია ისევ ძველი გამგეობა, ხოლო მიუმატა ერთი ახალი წევრი ბ. რ. გაბაშვილი.

ᲞᲠᲔᲡᲡᲐ

«სვ. კავკაზ»-ის უკანასკნელ ნუმერში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი სტეფანია სკოჩენის იმ მხურვალე მონაწილეობის შესახებ, რომელსაც პოლონელები იღებდენ მთიელთა ბრძოლაში შამილის დროს. პოლონელები ფრიად დაინტერესებულნი იყვნენ ამ ბრძოლით, რადგან ფიქრობდენ, რომ ეს დაეხმარებოდა მათი სამშობლოს განთავისუფლებას. მრავალი პოლონელი გარბოდა რუსის ჯარიდან და მიდიოდა შამილთან. პოლონელი ემიგრაცია გაძლიერებულ პროპაგანდას ეწევოდა უცხოეთში შამილის სასარგებლოდ და ცდილობდენ, რომ ევროპის სახელმწიფოებს მხარი დაეჭირათ მთიელებისთვის, განსაკუთრებით ინგლისს. ამ მუშაობას ხელმძღვანელობდა ადამ ჩარტორისკი.

«1841 წ. ჩარტორისკის მთავარი დიპლომატური აგენტი აღმოსავლეთში იყო მიხალ ჩაიკოვსკი. იგიც, ისე როგორც პოლონელ ემიგრაციის უმრავლესობა, უდიდეს ყურადღებას აქცევდა კავკასიას, რომელსაც სთვლიდა მომავალ სამხედრო მოქმედებათა ასპარეზად. მაგრამ ამასთანევე მეტს მნიშვნელობას აძლევდა კაზაკთა მასების აქტივობას და მათთან ერთად საერთო შეტევას რუსეთზე. ამიტომ მისი მოქმედება უფრო აქეთკენ იყო მიმართული.

«ჩარტორისკის მეორე აგენტი ალექსანდრე ვერეშჩინსკი კი, უფრო, აგრე ვსთქვათ, ქართული ორიენტაციის მომხრე იყო—საქართველოს ანტირუსული გამოსვლების, და მიზნად დაისახა კავშირის დაჭერა ქართველ ემიგრაციასთან და ამის დახმარებით აჯანყების მოწყობა საქართველოში. ამ გეგმის განხორციელება ვერ მოხერხდა, რადგან ვერეშჩინსკი მალე გარდაიცვალა.»

იმავე ჟურნალში მუხაჯირი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მთიელთა ძველი ემიგრაცია მორალურად, იდეურად ყოველთვის კავკასიის განმათავისუფლებელ მუშაობასთან იყო დაკავშირებული და დღესაც არის. ხოლო ამას დასძენს:

«უფრო რთულია ძველი ემიგრაციის აქტივური მონაწილეობის საკითხი და მაშასადამე საკითხი კადრების მომზადებისა და ორგანიზაციისა, რაიც ასე საჭიროა ჩვენი მიზნის მისაღწევად. საქმეს აბრკოლებს ემიგრაციის მდგომარეობა იმ ქვეყნებში, სადაც მან თავშესაფარი ჰპოვა. აღსანიშნავია ყოვლის უწინარეს ის ასამილაციური მისწრაფება, რომლითაც გამსჭვალულნი არიან ეს ქვეყნები».

ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ რუსეთი კვლავ დაიწყებს გაწევას ახლობელ აღმოსავლეთისკენ და ამ მხრის სახელმწიფოები პირდაპირ დაინტერესებულნი უნდა იყვნენ, რომ მათსა და რუსეთს შორის არსებობდეს დამოუკიდებელი კავკასია.

«ამ სახელმწიფოთა ინტერესი სრულებით არ მოითხოვს, რომ გადააგვარონ, ეროვნული თვითშეგნება მოუსპონ თავის კავკასიელ ქვეშევრდომებს. პირიქით ხელი უნდა შეუწყონ კავკასიელთა პატრიოტიზმის გაძლიერებას, რადგან ამით დაეხმარებიან კავკასიის განთავისუფლებას».

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*. Le Gérant : A. LARGILLIÈRE.